როგორც ნაციონალები ყოველდღიურად ხმის ჩახლეჩამდე იმუქრებიან, ისინი 2016 წლის არჩევნებამდე ეპირებიან ამჟამინდელი ხელისუფლების შეცვლას, რასაც სადღეღამისო აშკარად ანტისახელმწიფოებრივი და ანტისაზოგადოებრივი პროპაგანდით იდეოლოგიურად უზრუნველყოფს ნაციონალებისავე ყოველგვარ ზნეობრივ ზღვარს გადასული, ნიღაბახდილი რუპორი – „რუსთავი-2“, რომლის ცხრა ღობეზე გადამხტარმა ვაიხელმძღვანელმა ამას წინათ ჯოჯოხეთის მოწყობა აღუთქვა „ოცნებას“ და, დიდად სამწუხაროდ, ჯერჯერობით აკი წარმატებითაც ასრულებს კიდეც. ამის თვალსაჩინო მაგალითია, თუნდაც, 17 თებერვალს ძებნილი ექს-პრეზიდენტის საათნახევრიანი შეუფარავად ანტისამთავრობო ბოდვა თბილისიდან სპეციალურად კიევში ჩასული თავისივე იდეოლოგიური ყურმოჭრილი მონის წინაშე!

საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვაა სიფაქვაა, ფაქიზებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკარისობაზე უსაბაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 19 თებერვალი, 2015 წელი.

№32 (7677)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.

ნაციონალური ჯოჯოხეთი

4



საკაშვილის მმართველობის შედეგი:

რუსეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა „სახელმწიფო საზღვრის შესახებ შეთანხმებას“ მოაწერეს ხელი

2

კორნელი კაკაჩია:

ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, ერთმანეთს დაუცალკევოს უსუფაშვილი და რესპუბლიკური პარტია

3

ვაჟა ბერიძე: გამოდის, რომ 45-მილიონიანი უკრაინელი ხალხი ვერ ახერხებს ქვეყნის რეფორმირებას დაქირავებული „ვარიაგების“ გარეშე

5

ნუკრი ქანთარია: მაინტერესებს, წარადგინა თუ არა საკაშვილმა ჯანმრთელობის ცნობა, როდესაც უკრაინაში დაინიშნა

5

რატომ არის გასაიდუმლოებული ქართული კანონმდებლობით წამლების კლინიკური კვლევები?

7

◎ ალიან-ჩალიანი

ნინო გვენეტაძის კანდიდატურა პარლამენტს ოფიციალურად წარედგინა

საკითხი ბიუროს გუშინდელ სხდომაზეც განიხილეს.

პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, კომიტეტებს ერთი კვირის ვადა აქვთ, რომ ნინო გვენეტაძეს მოუსმინონ, მაგრამ სასურველია საკითხი მიმდინარე კვირაში განიხილონ.

„უმჯობესი იქნებოდა, პრეზიდენტს პარლამენტისთვის რამდენიმე კანდიდატი წარედგინა“

ამის შესახებ ევა გოცირიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომელიც ერთ-ერთი იყო იმ 28 კანდიდატს შორის, საიდანაც ქვეყნის პირველმა პირმა არჩევანი გააკეთა.

გოცირიძის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუკი პარლამენტი ნინო გვენეტაძის კანდიდატურას მხარს არ დაუჭერს, პრეზიდენტს იგივე პროცედურების გავლა თავიდან მოუწევს, რაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევას გააჭიანურებს.

საქართველო ევროკავშირის პროგრამის „შემოქმედებითი ევროპის“ წევრი ქვეყანა გახდება

ამის შესახებ კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ განაცხადა.

სამინისტროში ბრიფინგს ასევე ესწრებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი, სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში დავით ბაქრაძე და ევროკავშირის ელჩი საქართველოში იანუშ ჰერმანი.

როგორც ბრიფინგზე კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ განაცხადა, 24 თებერვალს ბრიუსელში ხელი მოეწერება საქართველო-ევროკავშირის პროგრამას Creative Europe (შემოქმედებითი ევროპა) და საქართველო ამ პროგრამის წევრი გახდება. ხელმოწერის ცერემონია ევროკომისრის ოფისში გაიმართება. მინისტრის თქმით, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან საქართველო პირველია, რომელიც აღნიშნული პროგრამის წევრი გახდება.

ვიცე-სპიკერის თანამდებობაზე კანდიდატურები განიხილება

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის დავით საგანელიძის განცხადებით, ვიცე-სპიკერის თანამდებობაზე ზურაბ აბაშიძის ნაცვლად სხვადასხვა კანდიდატურა განიხილება, მათ შორის, გუბაზ სანიკიძის.

როგორც საგანელიძემ ჟურნალისტებთან განაცხადა, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა კოალიციის პოლიტსაბჭოზეც იყო.

◎ ეროვნული ვალუტა

ლარმა კურსი საერთოდ დაკარგა

მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებისა და სავალუტო რეზერვებიდან 40 მილიონი დოლარის გაყიდვის მიუხედავად, დოლართან მიმართებაში ლარი ნახტომისებურ გაუფასურებას განაგრძობს. ეროვნულმა ვალუტამ ახალი რეკორდი დაამყარა და 2,07-ის ნიშნულს გადააბიჯა. როგორც ჩანს, მთავრობას და ეროვნულ ბანკს არ შესწევთ უნარი კურსი დაასტაბილურონ.

სავალუტო ჯიხურებში ლარის გამყარებას არც კი ელიან. ვალუტის გადამცვლელები ვარაუდობენ, რომ ეროვნული ვალუტა კიდევ გაუფასურდება.

„მოსახლეობაში დოლარი აღარ არის. ამიტომაც მათგან უცხოური ვალუტის შემოდინება არ ხდება. მოთხოვნა კი მატულობს, შესაბამისად, ლარი უფასურდება“, — ამბობენ სავალუტო ჯიხურების მფლობელები.

ეროვნულმა ბანკმა დოლართან მიმართებაში ლარის კურსის დასტაბილურების მიზნით წინა კვირას რეფინანსირების განაკვეთის გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო. ასევე სავალუტო აუქციონზე რეზერვებიდან 40 მილიონი დოლარი გაყიდა, თუმცა, აღნიშნული ჩარევის შედეგად, ლარი მხოლოდ ორი დღით და ისიც უმნიშვნელოდ გამყარდა, შემდეგ კვლავ ვარდნა დაიწყო. ეროვნული ვალუტა კვლავ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ხელისუფლების წარმომადგენლები კომენტარს თავს არიდებენ და თუკი ვინმე ხმას ამოიღებს, ზოგადი ფრაზებით ცდილობს ფონს გავიდეს. მაგალითად, პრეზიდენტის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში გიორგი აბაშიშვილის კომენტარშიც რაიმე სანუგეშოს ვერაფერს ამოიკითხავს ადამიანი.

„იმისთვის, რომ ლარის კურსის მერყეობის შესამცირებლად მთავრობისა თუ ეროვნული ბანკის მხრიდან განხორციელებული ქმედებები მეტად ეფექტიანი იყოს, ჩვენ ეკონომიკური პროგნოზირების უკეთესი სისტემა გვჭირდება“, — აცხადებს აბაშიშვილი.

მისი განმარტებით, ეკონომიკური პროგნოზირების უკეთესი სისტემის შექმნა აუცილებელია, რათა მომავალში მთავრობისა თუ ეროვნული ბანკის მიერ მიღებული ამა თუ იმ გადაწყვეტილების ეფექტიანობასთან დაკავშირებით კითხვები არ გაჩნდეს.

„როდესაც მთავრობის თუ ეროვნული ბანკის მხრიდან ხდება გარკვეული გადაწყვეტილების მიღება ლარის კურსის სტაბილიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ ქმედებები მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებაში უფრო ზუსტ პროგნოზს ემყარებოდეს, ვინაიდან მომავალში არ დაისვას საკითხი მთავრობისა თუ ეროვნული ბანკის მიერ მიღებულ არაეფექტიან გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. თუ კეთდება პროგნოზი, რომ ჩარევა შეაჩერებს კურსის ვარდნას და ეს ჩარევა ხდება, მაშინ გაუფასურება უნდა შეჩერდეს“, — აღნიშნა აბაშიშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას.

ექსპერტები კი ამბობენ, რომ ეროვნული ბანკის მხრიდან ბაზარზე განხორციელებული ერთჯერადი ინტერვენცია საკმარისი არ იყო, ვინაიდან ეროვნულ ვალუტასა და უცხოურ ფულს შორის დისბალანსი საკმაოდ დიდია. ამიტომ სებ-ს ინტერვენციები ისევ უნდა განეხორციელებინა.

„ეროვნულმა ბანკმა უფრო მეტი დოლარი უნდა მიაწოდოს ბაზარს. 40-მილიონიანი ინტერვენცია გაუფასურებას ვერ შეაჩერებდა. ფულადი გზავნილების მაჩვენებელი 25%-ით შემცირდა, ექსპორტი 30%-ით დაეცა. ეს თანხობრივად 60 მილიონ დოლარამდეა.

უცხოური ვალუტის შემოდინების წყაროებიდან დანაკლისი საკმაოდ დიდია. ამ ფონზე 40 მილიონი დოლარით რთული იქნებოდა არათუ გამყარება, არამედ გაუფასურების შეჩერება“, — ამბობს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ხელმძღვანელი ნოდარ ჭიჭინაძე.

გეჟა დანელია

გია ცაგარეიშვილის აზრით, „ქართული ოცნება“ ცდილობს...

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრის, გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის გია ცაგარეიშვილის განცხადებით, ქვეყანაში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებია, ვიდრე ვიცე-სპიკერის თანამდებობიდან ზურაბ აბაშიძის გადაყენება, რომლითაც უნდა დაკავდეს საპარლამენტო უმრავლესობა.

როგორც ცაგარეიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, „თავისუფლი დემოკრატები“ თანამდებობებზე დამოკიდებულები არ არიან და მისთვის გაურკვეველია პარლამენტში თუ ვინ უნდა გადააყენოს თანამდებობიდან ზურაბ აბაშიძე.

ინტერპრესი

◎ ცხელი წერტილი

„სახელმწიფო საზღვრის შესახებ შეთანხმება“ გაფორმდა

რუსეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა „სახელმწიფო საზღვრის შესახებ შეთანხმებას“ მოაწერეს ხელი. ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ იუწყება.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს სერგეი ლავროვმა და დავიდ სანაკოევმა. მანამდე კი რუსეთის საგარეო უწყებამ გაავრცელა განცხადება და „სახელმწიფო საზღვრის“ შესახებ ე.წ შეთანხმების გაფორმებას მნიშვნელოვანი ნაბიჯი უწოდა.

„მსგავსი შეთანხმების გაფორმება მეზობელ ქვეყნებს შორის ურთიერთობისთვის მნიშვნელოვანია. ვიმედოვნებთ, რომ ამ დოკუმენტის გაფორმება ქართული მხარის ეჭვებს, თითქოს ჩვენ სამხრეთ ოსეთის ანექსიას ვაპირებთ, გაფანტავს“, — წერია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

თუ ნატო საქართველოს ალიანსში „ჩათრევის“ პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამს, რუსეთი ამას შესაბამისი ზომებით უპასუხებს

ეს განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ე.წ სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა დე ფაქტო მინისტრთან გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

„ჩვენ განვიხილეთ თანამშრომლობის საკითხები, მათ შორის, კავკასიის რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის ჟენევის დისკუსიებში მონაწილეობის საკითხი. ამასთან, ჩვენ კიდევ ერთხელ დავადასტურეთ, რომ საჭიროა, სავალდებულოდ შესასრულებელი დოკუმენტის გაფორმება ძალის არგამოყენებასთან დაკავშირებით, რაც 2008 წლის მოვლენების გამეორებას თავიდან აგვაცილებს“, — განაცხადა ლავროვმა.

მისივე თქმით, აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ნატო-ს მიერ თბილისის „ჩათრევის“ მცდელობის ფონზე.

საპროტესტო აქცია ახალგორის შესასვლელთან

ოკუპირებული ახალგორის შესასვლელთან დევნილებისა და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლების საპროტესტო აქცია მიმდინარეობს.

აღნიშნული აქციით, მოსკოვსა და ცხინვალს შორის „სახელმწიფო საზღვრის შესახებ შეთანხმების“ გაფორმებას აპროტესტებენ.

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი ვარაუდობს, რომ ე.წ. სახელმწიფო საზღვრის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ ახალგორის იმ მცხოვრებლებისთვის, რომლებიც 2008 წლიდან დღემდე ცხინვალში გაცემული ე.წ. საშვებით გადაადგილდებოდნენ, მოძრაობა შეიზღუდება.

◎ ინფორმაცია

„თავისუფალი ზონის“ ოფისთან აქცია გაიმართა

„თავისუფალმა თაობამ“ „თავისუფალი ზონის“ ოფისთან საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მონაწილეებმა „თავისუფალი ზონის“ ოფისთან პამპერსები მიიტანეს. მათ ასევე მოითხოვეს, რომ „თავისუფალი ზონა“ გაუქმდეს.

„პამპერსები მივიტანეთ იმის ნიშნად, რომ გამოჩნდეს თუ როგორი ჩასვრილი აქვს წინა ხელისუფლებას. ასევე მოვითხოვეთ, რომ ამ ორგანიზაციამ არსებობა შეწყვიტოს“, — განაცხადეს აქციის მონაწილეებმა.

მათივე თქმით, იმ კორპუსის მცხოვრებლები, რომელშიც „თავისუფალი ზონის“ ოფისი არის განთავსებული, ორგანიზაციის გასახლებას მოითხოვენ.

„თავისუფალმა თაობამ“ შესაბამისი მოთხოვნით კორპუსის ბინადრებისგან ხელმოწერების შეგროვებაც დაიწყო.

„ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, ერთმანეთის დააცალკევოს უსუფაშვილი და რესპუბლიკური პარტია“

რას ნიშნავს ბიძინა ივანიშვილის ბოლოდროინდელი სიტყვები დავით უსუფაშვილის მიმართ, რომელიც ყოფილ პრემიერს ერთ-ერთ უძლიერეს პოლიტიკოსად მიაჩნდა და მის მიმართ განსხვავებული აზრის გამოთქმისგან ყოველთვის თავს იკავებდა? ცივდება თუ არა რესპუბლიკელებსა და „ქართული ოცნების“ უმრავლესობას შორის ურთიერთობები და რას აპირებენ რესპუბლიკელები?!

ამის შესახებ For.ge პოლიტოლოგ **კორნელი კაკაჩიას** ესაუბრა.

— ზოგიერთებმა ბიძინა ივანიშვილის მხრიდან პირველ კრიტიკად აღიქვეს დავით უსუფაშვილის მისამართით გამოთქმული მოსაზრება, რომ ცალკეული პოლიტიკოსი სულ სხვა აქცენტს აკეთებს ვაზაგაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით: „ერთ-ერთმა ცნობილმა პოლიტიკოსმა ისიც კი განაცხადა, ნაციონალური ტრაგედიაა, რომ პოლიციელი დააკავესო. ვერც ერთ განვითარებულ ქვეყანას ვერ ნახავთ, სადაც პოლიციელს მძიმე დანაშაული არ ჰქონდეს ჩადენილი, გამონაკლისი ვერც საქართველო იქნება“, — აცხადებს ბიძინა ივანიშვილი. თქვენ როგორ გაიგეთ უსუფაშვილის მიმართ ივანიშვილის მიერ ირიბად ნათქვამი განცხადება?

— მთლიანობაში, დავით უსუფაშვილი არის ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი საყვარელი პოლიტიკოსი. ბიძინა ივანიშვილი მას მიიჩნევს პროფესიონალად და ბოლო წლების განმავლობაში, ძირითადად, პარლამენტში აქცენტს მასზე აკეთებდა. თუმცა, არ მალავს, რომ ცოტა ალმაცერად უყურებს რესპუბლიკელებს. ყოველ შემთხვევაში, იმის მცდელობა აქვს, რაღაცნაირად ერთმანეთს დააცალკევოს უსუფაშვილი და რესპუბლიკური პარტია.

— ეს ხომ ნაივური მცდელობაა, რადგან წლების განმავლობაში ერთმანეთისგან განუყოფელია რესპუბლიკელები და უსუფაშვილი?

— მეც ასე მგონია, ეს არ მოხდება, გამომდინარე იქიდან, რომ დათო უსუფაშვილის პოლიტიკური იდენტობა დაკავშირებულია რესპუბლიკურ პარტიასთან. ამიტომ წარმოუდგენლად მეჩვენება, უსუფაშვილი გამოვიდეს ამ პარტიიდან, რაც არც მისთვის და არც პარტიისთვის კარგი არ იქნებოდა. თუმცა, ამავე დროს, ფაქტია, რომ ფორმალურად რესპუბლიკელები კოალიციის წევრებს შორის მტკიცედ არ არიან და ამას გრძნობენ „ქართული ოცნების“ ლიდერებიც. ამიტომ განცხადების ეს ტონი, ალბათ, იმ კუთხითაა ნათქვამი, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ რესპუბლიკელები, მათ შორის, უსუფაშვილიც — რჩებიან ბოლომდე მომავალი არჩევნებისთვის კოალიციაში, თუ სხვა გეგმები აქვთ და ტოვებენ კოალიციას. სწორედ ამიტომაც აღნიშნა ივანიშვილმა, რესპუბლიკელები მხარს უჭერენ ალასანიასო. ამით მათ აგრძნობინა, რომ მათ უნდა გააკეთონ საბოლოო არჩევანი კოალიციაში დარჩენასა და ალასანიას შორის და, თუკი დარჩებიან, ამ შემთხვევაში, ასე ჩანს, რომ მაშინ, ივანიშვილი მოითხოვს უფრო მეტ მორჩილებას და კოალიციური თამაშის შენარჩუნებას.

— შედის კი დავით უსუფაშვილის სამომავლო სტრატეგიაში, იყოს უფრო მორჩილი? ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს არის ბიძინა ივანიშვილის გამოწვევა რესპუბლიკელების მიმართ, დატოვონ კოალიცია? დასწრებაზე ხომ არ მიდგა საქმე?

— ასეც შეიძლება ითქვას. რესპუბლიკელები თუ გამოვლენ, ეს იქნება უკვე სერიოზული პოლიტიკური კრიზისი, რადგან „ქართული ოცნება“ კარგავს კოალიციას და შემდეგ უკვე, როგორ განვითარდება მოვლენები პარლამენტში, არავინ იცის. ამან შეიძლება გამოიწვიოს საპარლამენტო კრიზისი და რიგგარეშე არჩევნები. ამისთვის არავინ არ არის მზად, მათ შორის, არც „ქართული ოცნება“, რომელიც ახლა ცდილობს თავისი პარტიული სტრუქტურის ჩამოყალიბებას რეგიონებში. აქედან გამომდინარე, ეს სცენარი მათთვის მიუღებელია და რესპუბლიკელებსაც ეს პრობლემა აქვთ — კოალიციიდან რომ გამოვიდნენ, ჯერჯერობით ალტერნატიულ ძალას ვერ ხედავენ, გარდა ირაკლი ალასანიასი, რომელთანაც იდეოლოგიური და მსოფლმხედველობითი სიახლოვე აქვთ. თვითონ ირაკლი ალასანიასაც არა აქვს ჯერჯერობით ისეთი რეიტინგი, რომელიც რესპუბლიკელებს მისცემს იმის გარანტიას, რომ ერთობლივად, თუკი, ერთ ბლოკში იქნებიან, რაიმე დივიდენდს მიიღებენ. რაც მთავარია, თვითონ ირაკლი ალასანიას პარტიის წევრები იძახიან, ჩვენ საერთოდ არ ვაპირებთ ბლოკში ვინმესთან გაერთიანებასო. აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი ქმნის გაუგებრობას და მათ სტრატეგიული არჩევანის გაკეთება ძალიან უჭირთ. ისინი დილემის წინაშე არიან, დღევანდელი კვერცხი სჯობს თუ არა ხვალინდელ ქათამს?! მაგრამ უნდათ თუ არა, მათ ამ რთული გადაწყვეტილების მიღება უახლოეს მომავალში მაინც მოუწევთ. ყოველ შემთხვევაში, შორიდან ასე ჩანს, რომ რესპუბლიკური პარტიის უმრავლესობა, მათი გარკვეული ნაწილი მაინც, დიდი ხანია, კოალიციიდან გასვლის მომხრეა, მაგრამ დავით უსუფაშვილის ფაქტორი და მისი პირადი ურთიერთობები ბიძინა ივანიშვილთან, ამ პროცესის შემაფერხებელია.

— თქვენ ახსენეთ ბიძინა ივანიშვილის სიტყვა დავით უსუფაშვილის პერსონის მიმართ. შესაძლოა, ეს „სისუსტე“ ნაწილობრივ იმითაც აიხსნას, რომ დავით უსუფაშვილის ჩამოშორება ივანიშვილს არ აწყობს დასავლეთის ფაქტორიდან გამომდინარეც, რადგან გამოვა, რომ ალასანიასთან ერთად პროდასავლური ძალები ტოვებენ კოალიციას და ის დარჩება კოალიციის პრორუსული, ან ნეიტრალური ძალების ამარა.

— რა თქმა უნდა, ესეც სერიოზული საკითხია და ეს კარგი არ არის საქართველოსთვის. მაშინ, უკვე, მმართველ კოალიციას დაეუფლებიან ის ძალები, რომლებიც აშკარად არ გამოირჩევიან პროდასავლური ხედვით. არ არის გამორიცხული, მათ გარკვეული ალიანსები და კავშირები შექმნან არასაპარლამენტო ძალებთან და ამაზე ბევრი ინსინუაცია არსებობდა ბოლო ხანებში. სწორედ ეს არევდა სიტუაციას საქართველოში. ალბათ, ესეც არის ერთ-ერთი ფაქტორი, რის გამოც ბიძინა ივანიშვილს არ სურს უსუფაშვილის დათმობა. რაც მთავარია, ხელისუფლებას, რომელსაც ისედაც აქვს პრობლემა დასავლეთში და ისედაც თავდაცვის რეჟიმშია, რათა დაამტკიცოს, რომ სულაც არ არის პრორუსული, კიდევ უფრო გაურთულდება სიტუაცია. ფაქტობრივად, დიდი შანსია, პროდასავლური და ლიბერალური ძალების ჩამოშორების შემდეგ, საერთაშორისო თანამეგობრობამ ეს შეაფასოს, როგორც რაღაც რეტროგრადული ძალა. ეს იმ ფონზე, როცა ხელისუფლებას არც ახალი ხედვები აქვს, არც — რეფორმის ჩატარების სურვილი. ამიტომ ივანიშვილი მაინც ვერ ელევა უსუფაშვილს, როგორც პროფესიონალს და ამ ეტაპზე პარლამენტის შეუცვლელ თავმჯდომარეს, რომელიც მეტ-ნაკლებად კარგად ართმევს თავს საკუთარ მოვალეობას და ის წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის სახეს. მისთვის მტკივნეულია, რომ ვერ ახერხებს, ჩამოაშოროს უსუფაშვილი საკუთარ პარტიას და ბოლომდე გადაიყვანოს საკუთარ მხარეზე. ამავე დროს, სიტუაცია ალასანიასთან დაპირისპირების ხასიათს იღებს, რაც მისთვის ორმაგად მტკივნეულია.

— ბიძინა ივანიშვილი ამბობს, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს მარგველაშვილ-ალასანიას ერთმანეთიო. ამ ნათქვამის მიუხედავად, ივანიშვილისთვის რამდენად მტკივნეული იქნება ასეთი ალიანსის შექმნა?

— ჩვენ არ ვიცით, არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში რა მოხდება. მართალია, მარგველაშვილი მეტ-ნაკლებად პოპულარულია საზოგადოებაში, მაგრამ არავინ იცის, რამდენად არის ის გუნდური მოთამაშე და აქვს კი მას იმის რესურსი, რომ ცალკე დამოუკიდებელი აქტორი გახდეს პოლიტიკაში?! ჯერჯერობით, მხოლოდ ის ვიცით, რომ ის ძალიან კარგად იყენებს საკუთარი პრეზიდენტობის უფლებამოვალეობებს და ისეთ გადაწყვეტილებებს იღებს, რაც საზოგადოების უმრავლესობას მოსწონს, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რამდენად გადაწყვეტს ის პოლიტიკური ცენტრის შექმნას მის გარშემო, ამის მკაფიო დადასტურებელი არგუმენტი არ გვაქვს.

— დავუბრუნდეთ ისევ უსუფაშვილის თემას. რამდენად სანდოა ამ ეტაპზე უსუფაშვილი, მაშინ, როცა კოალიციასა და ალასანიას კონფლიქტიდან მეორე დღეს, უსუფაშვილი „თავისუფალი დემოკრატების“ ყრილობაზე გამოვიდა და ხაზი გაუსვა სიტყვა „თავისუფლების“ მნიშვნელობას — „თქვენ თავისუფლები ხართ, თქვენ ხართ „თავისუფალი დემოკრტები“... ამ სიტყვამ, ალბათ, ბევრი რამ დაიტია, რადგან ხაზგასმით იყო ნათქვამი თავისუფლების ფასის შესახებ. ამას ემატება რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილის განცხადებაც, ქოცები პანიკაში არიან „გნაცების“ უკრაინაში დანიშვნის გამოო. აშკარა თამაში მიმდინარეობს რესპუბლიკელებსა და კოალიციას შორის.

— ემოციურად, თუნდაც ამ განცხადებით და, ზოგადად, რესპუბლიკელების ქცევაში იგრძნობა, რომ მათ აქვთ „თავისუფლებისკენ“ მიდრეკილება, მაგრამ მათ სჭირდებათ გარკვეული გარანტიები. ისინი პრაგმატულნი არიან და თავიანთ კალკულაციაში ვერ ხედავენ იმ ახალ პოლიტიკურ ძალას, რომელთან ერთადაც მომავალში შეძლებენ ჩამოყალიბებას ან ახალი საპარლემენტო არჩევნების შემთხვევაში, - თანამშრომლობას. აქედან გამომდინარე, ისინი მაინც ელოდებიან, რომ ბოლო მომენტში რაღაც შეიცვლება და შემდეგ გადაწყვეტენ. ეს ივანიშვილსაც კარგად ესმის, ამიტომაც, ფაქტობრივად, რესპუბლიკელებს მოუწოდა, დროულად გააკეთონ არჩევანი, რათა მას ჰქონდეს გარკვეული დრო, დაალაგოს საკუთარი კოალიცია მომავალი არჩევნების წინ. ამიტომაც ვთვლი, რომ ემოციურად რესპუბლკელები აღარ არიან კოალიციის წევრები. უბრალოდ, ეს უნდა გაფორმდეს ფორმალურად, მაგრამ მაშინ უსუფაშვილს, სავარაუდოდ, მოუწევს პარლამენტის თავმჯდომარეობის პოსტის დატოვება. ეს არის დამაბრკოლებელი ფაქტორი. აქედან გამომდინარე, ეს არის საკითხები, რომელიც ამ პარტიაში განსახილველთა შორისაა.

— არის ასეთი მოსაზრებაც, რომ ბიძინა ივანიშვილი განგებ ჩამოშორდა პოლიტიკას, რათა მისი მემკვიდრეების არასწორი მართვის შემთხვევაში, აგრესია სწორედ მისი მემკვიდრეების მისამართით იქნებოდა, ბიძინა ივანიშვილი კი კვლავაც უკვე მეორედ მოევლინებოდა მხსნელად საქართველოს.

— ეს ვარიანტი გამორიცხული არ არის, რადგან ჯერჯერობით არ ჩანს სხვა ძალა ან ლიდერი, რომელიც შეძლებდა მისთვის გამოწვევა ესროლა. ჩვენ ვხედავთ, რომ „ქართული ოცნების“, როგორც პოლიტიკური ძალის, რეიტინგი არ არის მაღალი და მისი რეიტინგი დამოკიდებულია ივანიშვილის პიროვნულ რეიტინგზე. ამიტომ ის შეეცდება, თავისი ძალა გაქაჩოს არჩევნებში, როგორც ეს გააკეთა წინა არჩევნების დროს. არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ივანიშვილის რეიტინგმა მცირედ იკლო და მისი ბოლოდროინდელი განცხადებებიც დიდად არ უწყობს ხელს მისი რეიტინგის ზრდას. ვგულისხმობ მის გამონათქვამებს სოციალურ საკითხებზე, საბანკო სექტორზე, სამოქალაქო საზოგადოებასთან მის ურთიერთობაზე. მთლიანობაში, ეს ივანიშვილს პრობლემას შეუქმნის უახლოეს მომავალში.

მანანა ნოზაძე

◎ კაკალ გულში

წერილოვანი ოჯახები

● **საქართველოს ხელისუფლება ახლა უკრაინის გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს დათო საყვარელიძეს სთხოვს სააკაშვილი და ადეიშვილი გადმოგვეცეო?**

● **უცხო მოყმე ვინმე პედრო აგრამუნტმა, ცისხში მერაბიშვილის, უგულავას, ახალაიას და ფირცხალავას მონახულების შემდეგ დაიჩივლა — გადაღების უფლება არ მოგვცესო.**

გადაღება არა, მონტაჟ-დუბლიაჟი კიდევ, — გამომივიდა ესეც პედრო ალმოდოვარი!

● **„პარტიულად ძალზე საინტერესო ბიოგრაფია“ თუ ვინმეს ჰქონდა, ყვარყვარე თუთაბერს ჰქონდა და ეძგვერაძე ბარნაბას კიდევ!**

● **ორივე დეპუტატი (პარლამენტში და საკრებულოში) რესპუბლიკელი მყავს, პარლამენტის თავმჯდომარე — რესპუბლიკელი, პრეზიდენტი — პაჩწი (სულით) რესპუბლიკელი.**

ახლა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეც თუ რესპუბლიკელი გახდა, საბურთალოს რესპუბლიკას გამოვაცხადებ და ვიცხოვრებ ჩინებულადა!

● **საგანელიძეს რო უკეთია გალსტუკი დღიან-ღამიანად, გასაგებია — მუშაობს ადამიანი, მარა ეს უსაქმური გიგა ბოკერია რო გამოსკვანჭულა შარვალ-კასტუმში, რაფერ იქნება მაგი საქმე, არ მესმის. . .**

მნაწყვეტი სირგო (სერგო) რატიანის განცხადებიდან: „ამ კანდიდატურის წარდგენით მარგველაშვილმა დაარღვია თავის მიერ შერჩეული 3 კრიტერიუმი: არ უნდა ყოფილიყო არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან აფილირებული“.

უკაცრავად და „აფილირებული“ რა არის? :)))))

ეს სირგო, სირგო, რა შტერიც იყავი, ისევ ის ხარ, ოღონდ ცოტა უფრო აფილირებული.

● **ყოველ გვენტაძეში პატარა კოჟორიძე ზის.**

● **დალანდი გვყავდა, ნორლანდი გვყავს, ნულანდი გვეყოლება. ვოლანდი და ფრთებიღა გვინდა!**

● **ავტომატი უფრო ძლიერი იარაღია, კომპრომატი თუ იბიომატი?**

● **იცით, რატომაა დასანიშნი ნინო გვენეტაძე? არც პროფესიონალი რომ არ იყოს და არც ძალიან პრინციპული, მხოლოდ იმიტომ, რომ არც ნაცმოძრაობას მოსწონს და არც „ქართულ ოცნებას“. ნამდვილად, ჭკვიანური გადაწყვეტილებაა „მარგველას“ მხრიდან...**

● **კიევო — ცოცხი აქედან გამოვატანოთ, თუ თქვენით იშოვით?**

● **მომენტი, როცა გაბუნია უფრო ქარიზმული და საინტერესოა, ვიდრე მისი რესპონდენტი. წერილობით ჩამოეტანა ამას ჯობდა....**

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

ნაციონალური ჯოჯოხეთი

კიდევ ერთი ჯოჯოხეთური გადაცემა მოგვიწყო ნიკა გვარამიამ და ამით კიდევ ერთი შხამიანი ჯინი ამოუშვა პანდორას ყუთიდან.

რას ერჩი იურისტ-ჟურნალისტს — მიშას დაბრუნება სურს, მხოლოდ ნაცისტი არამზადების სასარგებლოდ მუშაობს, გამორჩეული მიკერძოებით მხოლოდ ერთ პარტიას ემსახურება და უსინდისოდ გაიძახის: საქართველოში ყველაზე დამოუკიდებელი ტელევიზია ვარო!

ქართველი ხალხის ინტერესების აბუჩად აგდება და მხოლოდ ნაციონალების უკანალის ლოკვა სადაური დამოუკიდებლობაა შე მართლა სულით ხეიბარო ჯოჯოხეთის მომწყობო?

* * *

... არა, არა, ძვირფასო მკითხველო, მიეთ-მოეთის და ზედმეტი ზრდილობა-ტაქტიანობის დრო, საგანგებო მდგომარეობის გამო, განზე გადავდოთ და ბატონ ბიძინა ივანიშვილს მთელი გულწრფელობით და პირდაპირობით ვუთხრათ ის გულისტკივილი, რაც მე (და თქვენც!) ამ გადაცემის შემდეგ განვიცადეთ.

ბატონო ბიძინა ივანიშვილო!

მართალია, თქვენ მიხეილ სააკაშვილს არ უსმენთ, მაგრამ „რუსთავი-2“-ზე მისი საათნახევრიანი „მშვიდი“ ბუუტური, 17 თებერვალს, ნიღაბახდილი ნაციონალი ჯარისკაცის გიორგი გაბუნიას „არჩევანში“ მაინც ბევრმა ქართველმა ნახა და მოისმინა. მთელი „ქართული ოცნების“ არაერთგზის გათათხვა-გათახსირების შემდეგ, ეს მსოფლიო მნიშვნელობის თაღლითი, მატყუარა და პოლიტიკური არამზადა პირადად თქვენ მოგდგათ და ასეთი რამ თითქმის „ოლიმპიური სიმშვიდით“ გადმოფქვა:

ამ გაზაფხულზე საქართველოში მთავრობა რომც შეიცვალოს, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, პრემიერ-მინისტრად ვინ მოვა. ყველამ იცის, საქართველოს ვინც მართავს, მე არ მეგულება საქართველოში ადამიანი, რომელიც თავისი განვითარებით ისეთ დაბალ დონეზე იდგეს, როგორც ეს პერსონა, ამაზე სამარცხვინო არსება არც განათლებით და არც ჰაბიტუსით მე არ შემხვედრია, ქართველი ხალხი დროზე უნდა მიხვდეს, რომ უარი უთხრას ამ უსუსურებს, მშიშრებს, რუსეთის ხელის შემყურეთ და არჩევნებით მოიშოროს „ოცნების“ უნიათო ხელისუფლება... მე კი საქართველოში იმაზე ადრე ჩამოვალ, ვიდრე ეს ზოგიერთს ჰგონია!!!



ბატონო ბიძინა, მიხეილ სააკაშვილის ამ მუქარას და ლანძღვას აუცილებლად დაუმატეთ სუპერ-დემაგოგის და სინდის-ნამუსთან დაბადებიდანვე მწყარალად მყოფი ნაცების მთავარი იდეოლოგის — გიგა ბოკერიას ბოლოდროინდელი გამოსვლები, სადაც თითქმის ყოველ წინადადებაში უნიათოებად, სულელებად, იდიოტებად მოგიხსენიებთ და ტელეეკრანზე დღეში ცხრაჯერ ისედაც მოღრეცილ თვალებს იქედნურად მოგვაპყრობს...

უმორჩილესად გთხოვთ, ბატონო ბიძინა:

გული გაიმაგრეთ, ამოაბეჭდინეთ ეს გამონათქვამები, ჩაუჯექით, ყველაფერი პირდაპირი მნიშვნელობით გააანალიზეთ და არა ისე, როგორც აქამდე ამბობდით — სააკაშვილი ტელევიზორში ათას სისულელეს ამბობს, აღარც ვუსმენ მის ნათქვამს და არც ვკითხულობ, შეიძლება მისი რჩევები უკრაინისთვისაც უბედურების მომტანი გახდესო და **აუცილებლად დამაჯერებლად უპასუხეთ სააკაშვილის ამ ბოლო ნაბოდვარს და იმედგაცრუებულ ქართველ ხალხს რწმენა დაუბრუნეთ.** დაგვარწმუნეთ იმაში, რომ თუ სააკაშვილი და სხვა ნაცისტები, ერის მოღალატენი, ანტიქართველები, ტიპური სიტყვითმკვლელები, ყოველდღიურად წაღმა-უკუღმა გასილაქებენ და პანღურს გთავაზობენ, — თქვენც სამაგიერო გადაუხადეთ და ანტისახელმწიფოებრივ სატელევიზიო არხზე (თვითმარქვია თავისუფლებას და ლიდერობას რომ იჩემებენ) საეთერო დრო ხშირად იყიდეთ **(ფულის ხათრით ნიკა გვარამია კიკუსავით ხშირად გაიხდის!)** და თანამედროვე მედიასივრცეში, თქვენივე შეფასებით „დღის წესრიგის“ განმსაზღვრელ ტელევიზიას (იმის გაფუმფულებულ სტენარისტებს, პროდიუსერებს თუ წამყვანებს) სამაგიერო სილა გააწანით!

სილა გააწანით დაუნდობლად, მოურიდებლად, მაყურებლის, ხალხის სახელით და დავალებით! **სიტყვა— სიტყვის წილ! სიმართლე — სიბინძურის წილ!**

ქართველი ხალხის უმრავლესობა (ჯერ კიდევ უმრავლესობა!) — აღვირახსნილი უმცირესობის წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლის მოგებას გთხოვთ, ვიდრე თვით ხალხი არ შევარდნილა დღევანდელი საქართველოს სიმშვიდის და აღორძინების მოწინააღმდეგე მთავარ პანდორას ყუთში — **ბოლვით, სიცრუით, უზნეობით და გესლით აღსავსე „რუსთავი-2“-ში!..**

* * *

ან ის თქვენი ახალი პროექტის „2030“-ის დაწყება რა გახდა?

თუ „GDS“ მზად არ არის, საზოგადოებრივ მაუწყლებელზე მაინც დაიწყეთ პროექტი, სწორედ მას ევალება (თუნდაც ოფიციალური თანხის გადახდით) მსგავსი გადაცემების უზრუნველყოფა.



სუფლების დაფინანსება სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოსაყალიბებლად და კორუფციის აღმოსაფხვრელად, თვით სააკაშვილისტებისგან მასობრივად დაშანტაჟებული და დაავადმყოფებული ქართველი ხალხისთვის დღეს ასე საჭირო, მართლაც ნანინანატრი ჯანმრთელობის სადაზღვევო რეფორმა, საძართველოს დამპურებელი სოფლის მეურნეობის აღორძინებისთვის გადადგმული სერიოზული ნაბიჯები, აგრესორ, ყველასთვის გაუგებარ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია (მცდელობა მაინც!)... და სხვა და სხვა.

რაც შეეხება არჩევნებს, ჩემი ღრმა რწმენით, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არამც და არამც არ უნდა გაიმართოს. თუ მატყუარა მიშამ თითქმის ერთი წელიწადი (პარლამენტმა კი ნახევარი წელიწადი!) ხელის ერთი მოსმით, უსინდისოდ გაიგრძელა ხელისუფლებაში ყოფნის ვადა, „ოცნებას“ ჯერ სამაგისო არაფერი დაუშავებია, რომ ისევ რიგგარეშე არჩევნებით დავზაფროთ ხალხი და წყალში გადავყაროთ ასეულობით მილიონი.

ბატონო ბიძინა, გინდათ თუ არა, ღატაკი და გაუბედურებული ქართველი ხალხი დღეს კვლავ იმ „რიგითი მოქალაქის“ იმედით ცხოვრობს, ვისაც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მისცა ხმა. ხომ ხედავთ, პირადად თქვენი და ქართველი ხალხის მტერი ნაციონალები უფრო თახსირნი და ყველაფრისმკადრებელნი გამოდგნენ, ვიდრე თქვენ გეგონათ! იმის აღიარება, რომ მიშას სულელურ გამოსვლებს არც ვუსმენ და არც ვკითხულობო, უფრო აღიზიანებს თქვენს მხარდამჭერებს, ვიდრე გაუსაძლისი სიღარიბე და უმუშევრობა. „საქართველოს რესპუბლიკამ“ რამდენჯერ გითხრათ, **ნაციონალები არსადაც არ წასულან, ცუდად გაგებული მიტევების, ანუ კოჰაბიტაციის გამო ისევ ბაირამობენ და დღედაღამ თქვენ გლანძღავენ და გასილაქებენ!**

თუკი თქვენ და ხალხის მტრებს ბოლომდე არ დასდებს ბეჭებზე (ჭკუით, ნიჭით და მოხერხებით!) ხალხი ბრბოდ გადაიქცევა, ხელს ჩაიქნევს და იტყვის:

ეს რა მშიშარა და ლაჩარი ყოფილაო!..

ფართოდ გაახილეთ თვალები, ბატონო ბიძინა! არ დაგავიწყდეთ, რომ დრონი მეფობენ და არა მეფენი, მაოხრებელი გზირის — მიხეილ სააკაშვილის და მთელი ნაცბანდის თავიდან ჩამოშორება სულაც არ არის დაკავშირებული ჩვენი დასავლელი სტრატეგიული პარტნიორების მათდამი მხარდაჭერასთან... ისინი ქართველ ხალხს უჭერენ მხარს და არა ერთეულებს!

მიშნაცების საბოლოოდ გაყუჩებას და სხვაგან, ჯანდაბაში (თუნდაც ისევ გაუბედურებულ და მრავალგზის მოტყუებულ უკრაინაში) იმათ გადახვეწას თქვენ ქართველი ხალხის უმრავლესობა გავალებთ!

ჩვენ კი ჯერ კიდევ, ჯერ კიდევ, ჯერ კიდევ გვგონია, რომ თქვენ ქართველი ხალხის სისხლხორცეულ ინტერესებს უშიშრად უნდა ემსახურებოდეთ! თქვენ ხომ მართლა თავი გაწირეთ სააკაშვილის რეჟიმისგან საქართველოს გასათავისუფლებლად!

ჰოდა, ეს არ არის გათავისუფლება, ეს ისევ ნაციონალური ჯოჯოხეთია... მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ წინაა!

სპარტაკ ქოგულია

◎ ალიან-ჩალიანი

შრომის ინსპექცია იქმნება

შრომის ნორმების შესრულების ზედამხედველობის მიზნით შრომის ინსპექცია შეიქმნება. შრომის პირობების ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამასთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტროში შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მინისტრი დავით სერგეენკო, პროფკავშირების ხელმძღვანელი ირაკლი პეტრიაშვილი და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ დავით სერგეენკომ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, საქართველოში შრომის უსაფრთხოების მხრივ ნამდვილად არ იყო სახარბიელო მდგომარეობა. მისივე თქმით, რამდენიმე თვე დაიხარჯა ოპტიმალური მოდელის შემუშავებისათვის. მინისტრის განცხადებით, კომპლექსური სამსახური არა მხოლოდ უსაფრთხოებას, არამედ ხელშეკრულების დარღვევის, შრომითი ექსპლუატაციის მიმართულების კონტროლითაც იმუშავებს.

ჭიათურის ტერიტორია - ეკოლოგიური კატასტროფის ზონად გამოვაცხადოთ

შემიძლია ვთქვა, რომ მიმდინარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ანექსია მანგანუმის მომპოვებლების მიერ, — ამის შესახებ ჭიათურის დეპუტატმა მალხაზ წერეთელმა პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომელმაც კოლეგებს „მუნიციპალიტეტში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობასთან“ დაკავშირებით მიაწოდა ინფორმაცია.

მისივე განმარტებით, ჭიათურის ტერიტორია თავისუფლად შეიძლება გამოცხადდეს ეკოლოგიური კატასტროფის ზონად.

ნუკრი ქანთარია: მაინტერესებს, წარადგინა თუ არა საპკაშვილმა ჯანმრთელობის ცნობა, როდესაც უკრაინაში დაინიშნა

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელს ნუკრი ქანთარიას აინტერესებს, წარადგინა თუ არა საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჯანმრთელობის ცნობა, როდესაც ის უკრაინაში დაინიშნა. ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა ნუკრი ქანთარიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„დღეს გამოსვლა დაგეგმილი არ მქონდა, თუმცა, გუშინ „რუსთავი-2“-ის გადაცემა „არჩევანში“ ლანძღვა-მუქარანარევმა ბოდვამ გადამაწყვეტინა, რომ დღეს შემდეგი განცხადება გავაკეთო - პირველ რიგში, ღრმა პატივისცემა მინდა დავადასტურო ერთიანი დამოუკიდებელი უკრაინის მიმართ და ამავე დროს, გამოვთქვა დიდი წუხული იმ მოვლენებზე, რაც უკრაინაში ხდება“, — განაცხადა ქანთარიამ.

მისივე თქმით, უკრაინა-საქართველოს მეგობრობის მრავალსაუკუნოვან ასპექტში ბოლო ხანს ჩნდება გარკვეული კითხვები, რომელიც, დეპუტატის აზრით, პასუხის გაცემას იმსახურებს.

„ეს შესაძლოა, ზოგს რიტორიკულ კითხვებად მოეჩვენოს, თუმცა კონკრეტიკას შეიცავს. პირველი — თუ არსებობს პრეცედენტი, როდესაც მეგობარი, პარტნიორი ქვეყნის მიერ ძებნილი, დანაშაულში ეჭვმიტანილი პიროვნება ინიშნებოდეს მეგობარი ქვეყნის, ვგულისხმობ უკრაინაში, მაღალ თანამდებობაზე და უწყობს, თუ არა მსგავსი პრეცედენტი ხელს მეგობრობისა და პარტნიორობის გაღრმავებას. მეორე — უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველი როდესაც უკრაინის დროშის ფონზე უკვე ღიად ლანძღვას მეგობარი ქვეყნის — საქართველოს ხელისუფლებას, ეს უნდა ჩაითვალოს თუ არა, საერთოდ უკრაინის ხელისუფლების პოზიციად და იმედი აქვს, რომ არა და თუ არა, მაშინ რატომ ბედავს პრეზიდენტის მრჩეველი თავისი პრეზიდენტის დაუკითხვად მსგავსი პოზიციის გამოხატვას. მესამე — როგორი რეაქცია ექნებოდა თავად უკრაინის მაღალ ხელისუფალს, რომ რომელიმე მეგობარ ქვეყანას მაღალ თანამდებობაზე ბატონი იანუკოვიჩი დაენიშნა და მას სწორედ მსგავსი პოზიციები დაედასტურებინა. მეოთხე — თვლიან თუ არა უკრაინის მაღალი ხელისუფლების პირები, რომ უკრაინის სახელისუფლებო წრეები იქცა ნაცმოძრაობის თავშესაფრად, მათ შორის, ძებნილებისაც და რამდენად შეუწყობს ეს ფაქტი ხელს სწორედ უკრაინის მაღალი ხელისუფლების პირების რეპუტაციის ამაღლებას საქართველოს მოსახლეობაში. ბოლო კითხვა არის ის — წარადგინა თუ არა საკაკშვილმა ჯანმრთელობის ცნობა, როდესაც ის სამსახურში დაინიშნა. თუ ამ კითხვებზე მოახერხებს იგივე „რუსთავი-2“ უკრაინის მაღალი ხელისუფლების პირებისგან პასუხების მიღებას, ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი იქნება. სხვა მხრივ, უკრაინელ ხალხს მინდა მშვიდობა, გამძლეობა ვუსურვო და დავუდასტურო ჩემი ღრმა პატივისცემა“, — განაცხადა ქანთარიამ.

დავით ნარმანიამ სასწრაფო-სამედიცინო სამსახურის ხელმძღვანელს ოპერატიულობის გაზრდა დაავალა

როგორც ნარმანიამ თბილისის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია სისტემის დეტალური შესწავლა, რათა დადგინდეს, თუ სად არის ის ჩავარდნები, რაც ცალკეულ შემთხვევებში, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანების გამოძახებაზე დაგვიანებას იწვევს.

„ეს უნდა გამოსწორდეს, არის ცალკეული ობიექტური ხელისშემშლელი ფაქტორები, რაც ეხება მათ შორის პიკის საათებში საცობებს, სხვა ფაქტორები, რაც დამატებით არის ხელისშემშლელი, ეს უნდა აღმოიფხვრას“, — განაცხადა ნარმანიამ.

მან მენეჯმენტთან დაკავშირებულ საკითხზეც ისაუბრა.

„სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სისტემაში ახალი ხელმძღვანელი დაინიშნა, დავამატეთ ავტომობილები, პერსონალის მოტივაცია გავზარდეთ და გაიზარდა მათი ანაზღაურება. ახლა უკვე მენეჯმენტის საკითხია, სასწრაფო-სამედიცინო სამსახურის ახალ ხელმძღვანელს დავავალე, ყველაფერი გააკეთოს გამოძახების ოპერატიულობის გაზრდისთვის“, — განაცხადა ნარმანიამ.

თბილისის მერია პროექტ „მწვანე ყუთის“ განხორციელებას იწყებს

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დედაქალაქის მერიიდან აცნობეს, შესაბამისი გადაწყვეტილება დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე გუშინ მიიღეს.

მათივე ინფორმაციით, პროექტის მიხედვით ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში და გამგეობებში სპეციალური ადგილები გამოიყოფა და შესაბამისი კონტეინერები განთავსდება, სადაც მოგროვდება ქაღალდის ნარჩენები; შეგროვებული მაკულატურის ღირებულების დადგენას და აუქციონის ფორმით განკარგვას თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო უზრუნველყოფს.

მაკულატურის აუქციონზე გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე გამწვანებითი სამუშაოების უზრუნველყოფას, ხეების დარგვას და მათ მოვლა-პატრონობას მოხმარდება.

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ნარჩენების რაციონალურად მართვასა და გარემოს დაცვითი საკითხების რეგულირებას დედაქალაქის ტერიტორიაზე.

უვადო მსჯავრდებულთა ახლობლებმა პარლამენტთან აქცია გამართეს

ძუთაისში, პარლამენტის შენობასთან უვადო მსჯავრდებულთა ახლობლებმა და ოჯახის წევრებმა საპროტესტო აქცია გამართეს.

როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, ისინი ხელისუფლებას იმ დანაპირების სისრულეში მოყვანას სთხოვენ, რასაც წინასაარჩევნოდ დაჰპირდნენ. კერძოდ, აქციის მონაწილეები უვადო მსჯავრდებულთათვის სასჯელის განახევრებას ითხოვენ.

„ვითხოვთ სასჯელის განახევრებას. ამას დღევანდელი ხელისუფლება წინასაარჩევნოდ ერთხელ უკვე დაგვპირდა. თუმცა, ჯერჯერობით არ შეუსრულებია. ვაფრთხილებთ ხელისუფლებას, რომ დაპირება დროზე შეასრულონ და გაიხსენონ წინა ხელისუფლების წასვლის მიზეზი, რაც სწორედ პატიმრების გამო მოხდა. ჩვენ მსგავს გამაფრთხილებელ აქციას ისევ მოვაწყობთ“, — აცხადებენ აქციის მონაწილეები.

ბარათაშვილის ხიდის რეაბილიტაციაზე ტენდერი გამოცხადდა

ბარათაშვილის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტენდერი გამოცხადდა. ტენდერში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება გუშინ დაიწყო და 23 თებერვალს დასრულდება.

თბილისის მერის განცხადებით, ბარათაშვილის ხიდის რეაბილიტაციით წლების განმავლობაში არსებული პრობლემა მოიხსნება. „ხიდს ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია, რაც გაზრდის მისი ექსპლუატაციის ვადას, ხიდზე გადაადგილება უსაფრთხო იქნება როგორც ავტომობილებისთვის, ისე ფეხით მოსიარულეთათვის“, — განაცხადა დავით ნარმანიამ. მისივე თქმით, ხიდი შესაბამისობაში უნდა იყოს ქალაქის ისტორიულ ნაწილთან, ამიტომ, მოაჯირის განახლება საზოგადოების ჩართულობით მოხდება.

დღეს არსებული ბარათაშვილის ხიდი 1960—იან წლებში აშენდა. ნაგებობამ მანამდე არსებული რკინის კონსტრუქცია ჩაანაცვლა. ხელახალი აშენების შემდეგ, მისი რეაბილიტაცია არ ჩატარებულა.

◎ უკრაინული წიაღსვლები

გამოდის, რომ 45-მილიონიანი უკრაინელი ხალხი ვერ ახერხებს ქვეყნის რეფორმირებას დაქირავებული „ვარიაგების“ გარეშე

საქართველო-უკრაინის ურთიერთობები ერთ-ერთი იმ საკითხთაგანია, რომელზეც ბოლო დღეებში ხელისუფლებას ოპოზიციისგან სულ უფრო მეტი საყვედურის მოსმენა უწევს. უკრაინის ხელისუფლებაში ქართველი ყოფილი მაღალჩინოსნების დანიშვნამაც საქართველოში პოლიტიკური აზრი ასევე ორად გაყო. რა ბედი ელის ორი მეგობარი ქვეყნის ურთიერთობებს, ოფიციალური კიევის მიერ გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯი ხელს შეუშლის თუ არა საქართველოსთან კეთილმეგობრული ურთიერთობის გაგრძელებას? — ამ საკითხებზე საინფორმაციო საგენტო „მედიანიუსი“ პოლიტიკის ანალიტიკოს ვაჟა ბერიძეს ესაუბრა.

— ბოლო დღეებში ხელისუფლებას ოპოზიცია ადანაშაულებს, რომ უკრაინაში არც ერთი ოფიციალური ვიზიტი არ განხორციელდა. როგორ ფიქრობთ, მისაღებია თუ არა ასეთი კრიტიკა?

— ფაქტია, არც ერთი ვიზიტი მაღალ დონეზე ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ უკრაინაში არ განხორციელებულა, თუ არ ჩავთვლით ორი ვიცე-პრემიერის ჩასვლას კიევში. აქ, ბუნებრივია, ბევრი ფაქტორი მოქმედებს. ოპოზიცია, ფაქტობრივი მხარის გათვალისწინებით, მართალია, მაგრამ ეს ფაქტი არ შეიძლება აღვიქვათ და გავაანალიზოთ შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინების გარეშე იმ პირობებში, როდესაც რბილად რომ ვთქვათ, არის გაუგებრობა უკრაინის ხელისუფლებასა და საქართველოს პოლიტიკასთან დაკავშირებთ. ეს, რა თქმა უნდა, ხელს არ უწყობს ასეთი კონტაქტების გაღრმავებას, ურთიერთობის განვითარებას და ვიზიტების განხორციელებას. ოპოზიციას ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ნაკლები საფუძველი აქვს ხელისუფლების კრიტიკის, რადგან საქართველოს ამჟამინდელი მთავრობა არ არის წინააღმდეგი უკრაინასთან ახლო მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობების განვითარების.

— შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, როგორ ფიქრობთ, რომელი უფრო იქნება მიზანშეწონილი, საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი უკრაინაში თუ პრემიერის?

— ორივე ვიზიტი იქნება ძალიან საჭირო და სასარგებლო ამ ქვეყანასთან, ჩვენი სამომავლო ურთიერთობების თვალსაზრისით. ეს ქვეყანა არის ჩვენი პარტნიორი ევროანტლატიკური ინტეგრაციის პროცესში. ეს არის ძალიან ღირებული და მნიშვნელოვანი ჩვენთვის. ამდენად, ბუნებრივია, ჩვენი ახალი პოლიტიკური მოცემულობებიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნება, თუ განხორციელდება პრემიერ-მინისტრის ვიზიტი უკრაინაში, რადგან ქვეყნის ლიდერი, თუ ვიქნებით რეალისტები, ამ ახალი საკონსტიტუციო მოცემულობით გახლავთ პრემიერ-მინისტრი.

— ორმხრივ დიპლომატიურ ურთიერთობებში ქმნის თუ არა უხერხულობას უკრაინაში მაღალ თანამდებობებზე საქართველოში ძებნილი პოლიტიკოსების დანიშვნა?

— ქვეყნის ხელისუფლების სამართალდამცავი სისტემის მიერ ეჭვმიტანილებად და ძებნილებად გამოცხადებული პირების დანიშვნა უკრაინაში მაღალ თანამდებობებზე, ბუნებრივია, პატივისცემის გამოხატულება არ არის და ეს, რა თქმა უნდა, ხელს უშლის ამ ურთიერთობების გაღრმავებას.

აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორის — აშშ-ის პოზიცია. აქ ვფიქრობ, რომ ნაციონალების დასაქმებაში გადამწყვეტი არის შტატების ადმინისტრაციის პოზიცია.

საქართველოს მთავრობას მართებს მეტი თავდაჯერებულობა, მეტი თავშეკავება, როდესაც ამასთან დაკავშირებთ პოზიციას აფიქსირებს, ჩვენ არ გვმართებს დრამატიზება შექმნილი ვითარების, რა თქმა უდნა, არასასიამოვნო ფაქტია, რომ უკრაინაში მაღალ თანამდებობებზე ინიშნებიან საქართველოს სამართალდამცავი სისტემის მიერ ძებნილი პირები, მაგრამ მეორე მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თავად უკრაინისთვის არის ეს ღირსების საკითხი. გამოდის, რომ ეს უზარმაზარი, 45-მილიონიანი ხალხი ვერ ახერხებს ქვეყნის რეფორმირებას, დაქირავებული „ვარიაგების“ გარეშე, შესაბამისად, ჩნდება კითხვა, რამდენად საფუძვლიანია უკრაინელების ამბიცია და მისწრაფება, რომ დაიკავოს მნიშვნელოვანი ადგილი თავისუფალი ერების თანამეგობრობაში და ევროკავშირში.

ესაუბრა
ნიკა თევდორაძე



მშენებლობას შენირული წლები

მალხაზ ბედიაშვილი – 80

თვალსაჩინო ინჟინერ-მშენებელს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს დამსახურებულ მშენებელს, საბჭოთა კავშირის ორგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ბატონ მალხაზ ბედიაშვილს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ბატონი მალხაზი იმ გამორჩეულ ადამიანთა რიგს განეკუთვნება, ვისზედაც ამბობენ, უფალმა ნიჭი, შრომისმოყვარეობა და იღბალი დაუნანებლად დააბერტყაო; მართლაც მოჭარბებულად აქვს ყველა ეს თვისება ბ-ნ მალხაზს. 80 წელი სოლიდური ასაკია, ზოგისათვის მშვიდ და უშფოთველ ცხოვრებასთან გაიგივებული, მაგრამ არა ბ-ნი მალხაზისათვის. ვინც მას იცნობს, მასთან ერთად საშვილიშვილო საქმე უკეთებია და დღესაც მის გვერდით აგრძელებს საქმიანობას, იცის, რომ მალხაზ ბედიაშვილი ფენომენური შესაძლებლობების ადამიანია, ულევი ენერგიის პატრონი, დაწყებული საქმის ბოლომდე მიმყვანი, და რაც მთავარია, ის ყოველთვის ზუსტად გრძნობს დროის მოთხოვნებს და ამის გამო მუდამ ავანგარდშია, მუდამ ახალგაზრდა და ნოვატორია.

როდესაც ეცნობი ბ-ნი მალხაზ ბედიაშვილის ოჯახისა და გვარის გენეალოგიას, გასაგები ხდება საიდან იღებს სათავეს მისი პიროვნული ღირსებები: სიდარბაისლე, პროფესიონალიზმი, აკადემიზმი ყოველგვარ საქმიანობაში, გულის სიღრმემდე განცდა ქვეყანაში არსებული პრობლემებისა, თავდადება მეგობრობაში.

გადმოცემის მიხედვით ბედიაშვილების წინაპრები ბედიის მონასტრის მსახურები ყოფილან, ამიტომაც იქაური მცხოვრებლები ბედიას შვილებს უწოდებდნენ. შემდგომში ისტორიული ქარტეხილების გამო მონასტრის მსახურნი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გაფანტულან. ერთი ნაწილი კახეთში, საგარეჯოს რაიონში დასახლებულა. ბედიაშვილების გვარი შემდგომშიც მჭიდრო კავშირშია ეკლესიასა და მონასტრებთან, თუმცა, ბრძოლაშიც არ იხევდნენ უკან, ქვეყნისათვის თავის გაწირვა შეეძლოთ.

არა ერთ სიგელ-გუჯარში არიან მოხსენიებული ბედიაშვილების გვარის წარმომადგენელნი, როგორც ღირსეული შვილნი ქვეყნისა. ბ-ნი მალხაზის პაპა სპირიდონ ივანეს-ძე ბედიაშვილი, თბილისის სასულიერო სემინარიადამთავრებული, იმ დროისათვის ფრიად განათლებული პიროვნება ყოფილა, მისი ოჯახის წარმომადგენლებმა (12–შვილიანი ოჯახი) და შთამომავლებმა (უმეტესობა საეკლესიო პირი იყო) ღირსეულად განვლეს ქარტეხილებით სავსე მე-20 საუკუნე და თავისი ცხოვრების წესით მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს იმ ასპარეზზე, რომელიც მათ ცხოვრებამ არგუნა. თავისი წინაპრების ღირსეული წარმომადგენელი იყო ბ-ნი მალხაზის მამა ალექსანდრე ბედიაშვილი – რესპუბლიკის დამსახურებული ზოოტექნიკოსი, სოფლის მეურნეობის მინისტრი. ბ-ნი მალხაზის წინაპრები დედის მხრიდანაც სასულიერო პირები იყვნენ. ბაბუამისი – ბესარიონ სიმონის ძე ვაშაკიძე მღვდელი იყო დიდ ჯიხაიშში. ის რეჟიმის მსხვერპლი შეიქნა 1930 წელს. დედამისი – დომნა (ცაცუნია) ვაშაკიძე რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი გახლდათ, სადაც კი უმუშავია ქ-ნ ცაცუნიას, სოფლად თუ ქალაქად, ყველგან ახსოვდათ პირმშვენიერი და გულისხმიერი ექიმი, რომელიც მუდამ მზად იყო ადამიანების დასახმარებლად.

აი, ასეთი ტრადიციების, მაღალი ღირებულებების და ზნეობის მქონე ოჯახში დაიბადა და გაიზარდა ბ-ნი მალხაზი.

ახლა კი მის მიერ დღემდე განვლილი შრომითი და შემოქმედებითი გზის შესახებ: 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და დაიწყო საინჟინრო საქმიანობა საპროექტო ინსტიტუტ „საქსოფლმშენსახპროექტში“. 1967 წლიდან 1982 წლამდე ზონალური სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-ექსპერიმენტული ინსტიტუტის მთავარი ინჟინერია, 1982 წლიდან 1996 წლამდე მშენებლობის სამინისტროს მთავარი ტექნიკური სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი. 1996 წლიდან დღემდე – შპს „მშენაღდგენა/მ“-ის გენერალური დირექტორი. ამ თითქოსდა მშრალი მონაცემების უკან დაუღალავ შრომაში, სიახლეების ძიებაში, ახალი იდეების განხორციელებაში განვლილი ათწლეულები მოიაზრება.

ერთი საგაზეთო სტატია ვერ დაიტევს იმ საქმეთა ჩამონათვალსაც კი, რაც ბ-ნ მალხაზს უკეთებია თავისი შრომითი და შემოქმედებითი საქმიანობის პერიოდში. მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით იმ ძალზედ მნიშვნელოვან და ღირებულ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა მის სახელთანაა დაკავშირებული. ბ-ნი მალხაზს ეკუთვნის 60 ნაბეჭდი და გამოქვეყნებული ნაშრომი სამეცნიერო და საინჟინრო თემატიკაზე – საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ.

– დანერგილია მისი 19 გამოგონება;

– ავტორია უნიფიცირებული სეისმომედეგი კარკასულ-პანელური კონსტრუქციებისა ИИС-04, რომლის მუშა ნახაზები 3 000 000 ეგზემპლარად გავრცელდა, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში. დაინერგა საბჭოთა კავშირის 11 რესპუბლიკაში და უცხოეთში, ამ კონსტრუქციებით აშენდა ასობით ათასი შენობა-ნაგებობა, როგორც საზოგადოებრივი, ისე მრავალსართულიანი სამრეწველო დანიშნულების.

– უნიფიცირებული სეისმომედეგი კარკასის მეცნიერულად შესწავლის, დამუშავებისა და მასობრივად დანერგვისათვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია;

– ავტორია წინასწარ დაძაბული კონსტრუქციების სერიისა მრავალსართულიანი საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და სამრეწველო ნაგებობებისა (გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირის როგორც სეისმურ, ისე არასეისმურ რაიონებში). ამ სამუშაოსთვისაც მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია.

– ავტორია მრავალრიცხოვანი სეისმომედეგი კარკასული, მონოლითური რკინაბეტონისა და მსხვილპანელურ კონსტრუქციებში მშენებლობით განხორციელებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ნაგებობის პროექტებისა.

– მისი მონაწილეობით დამუშავებულია შემდეგი სამშენებლო ნორმები და წესები; სეისმომედეგი მშენებლობა (პნ 01. 01-09); შენობებისა და ნაგებობების ფუძეები (პნ 02. 01-08); ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები (პნ 03. 01-09);

მშენებლებმა კარგად იციან, რასაც ნიშნავს ჩამოთვლილი საკითხები მშენებლობაში, მათთვის, კი ვისაც შეხება არა აქვს მშენებლობასთან, განვმარტავთ: ჩამოთვლილი საინჟინრო გადაწყვეტილებების მშენებლობაში დანერგვა ნიშნავდა კარკასში აშენებული შენობა-ნეგებობებში ლითონისა და ბეტონის ხარჯის ორჯერ და მეტჯერ შემცირებას. საიმედოობის და სეისმომედეგობის გაზრდას. მას იწვევდნენ სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც მნიშვნელოვანი იყო სეისმომედეგი კონსტრუქციების დანერგვა, უშუალოდ ხელმძღვანელობდა წარმოებაში მის ჩაშვებას.

მალხაზ ბედიაშვილი არქიტექტორებთან შოთა ყავლაშვილთან, ვახტანგ კვიმსაძესა და სულიკო კაციტაძესთან ერთად ავტორია რიგი მრავალსართულიანი სახლების პროექტების, თითქმის ყველა 16-18-სართულიანი სახლი, რომლებიც თბილისში და საქართველოს ქალაქებში აშენდა 1976-1991 წლებში, ასეთი კი 250-ზე მეტია, მისი კონსტრუქციებისაგან არის აწყობილი, მისი გაანგარიშებული და მისი მეთვალყურეობით აშენებული.

მისი ხელმძღვანელობით შექმნილი კარკასული კონსტრუქციები სამშენებლო ინდუსტრიამ საქართველოში 2 მლნ კუბური მეტრი, ხოლო მთელ საბჭოთა კავშირში ასჯერ მეტი მოცულობით დაამზადა. ამ კონსტრუქციებით მიმდინარეობდა ყველა საზოგადოებრივი და მრავალსართულიანი სამრეწველო ნაგებობის სეისმომედეგი მშენებლობა ქვეყანაში.

ფართოა მალხაზ ბედიაშვილის ინტერესების სფერო და თვალსაწიერი: მშენებლობაში, გასული საუკუნის 90-იან წლებიდან მისი ძალისხმევა მიმართული იქნა თბილისში შენობა-ნაგებობების მძიმე, ავარიულ მდგომარეობაზე. მისი ხელმძღვანელობით მრავალი მნიშვნელოვანი და ისტორიული შენობა-ნაგებობა გადაურჩა დანგრევას.: რუსთაველის სახელობის თეატრის, იუსტიციის სამინისტროს, მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის და მრავალი სხვა შენობის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების პროექტები მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით შესრულდა.

ბ-ნ მალხაზს, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანს და სპეციალისტს, ფასდაუდებელი და უანგარო წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს მართლმადიდებელი და ეკლესიატაძრების ტექნიკური გამოკვლევისა და მათი აღდგენა-გამაგრების საქმეში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მის მიერ სხვა ცნობილ სპეციალისტებთან ერთად უანგაროდ ჩატარებული სვეტიცხოვლის კომპლექსის მდგომარეობის სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევა, რის საფუძველზეც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი, 150-გვერდიანი წიგნი „სვეტიცხოვლის სამეცნიერო-ტექნიკური კვლევის შედეგები“.

1970-73 წლებში, როგორც მაღალი რანგის სპეციალისტი, მივლინებული იყო ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც მისი ხელმძღვანელობით აღდგა და აშენდა რამდენიმე მსხვილი სამშენებლო ობიექტი, ისეთები, როგორიც არის ქ. ალ-ასნამის წინასწარ დაძაბული, დიდდიამეტრიანი, მელიორაციისათვის განკუთვნილი მილების ქარხანა, ქ. ბუმერდესის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის კომპლექსი, საჰარისპირა რაიონების მელიორაციის ორი განხორციელებული პროექტი.

ჩვენს დედაქალაქში ბევრია ასწლოვანი საცხოვრებელი სახლი, რომლებსაც დრომ თავისი დაღი დაასვა. ამ მდგომარეობას ხელი შეუწყო 2002 წლის მიწისძვრამ. მარტო ამ მხრივ ქალაქში 24000-ზე მეტი ავარიული შენობაა. სპეციალისტების ინიციატივით ორი წლის წინათ დაიწყო ამ შენობების შესწავლა და სათანადო კონსტრუქციული რეკომენდაციების და დასკვნების შედგენა. მარტო ბ-ნი მალხაზის ჯგუფმა, თითქმის უანგაროდ 400-ზე მეტი შენობის დასკვნა-რეკომენდაცია შეადგინა.

ბ-ნი მალხაზი პრაქტიკულ საქმიანობას პედაგოგიურ მოღვაწეობასაც უთავსებდა. 1974-78 წლებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამშენებლო ფაკულტეტის მაგისტრატურის სახელმწიფო გამოცდების თავმჯდომარე გახლდათ. მიგვაჩნია, რომ ასეთი დიდი პრაქტიკული და სამეცნიერო გამოცდილების მქონე პროფესიონალის ურთიერთობა მომავალ მშენებლებთან, არის იმის საწინდარი, რომ ქვეყანას სამომავლოდ საიმედო საინჟინრო კადრი ეყოლება.

ბ-ნ მალხაზს ხშირად იწვევენ საერთაშორისო კონფერენციებზე და სიმპოზიუმებზე. მისი სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებულია სტოკჰოლმში, დრეზდენში, ტაშკენტში, ათენში, მოსკოვში, ერევანში, ინდოეთში (თბილისში – რამდენჯერმე). იგი გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატების მშენებელ-ინჟინერთა საზოგადოების ეფილირებული წევრი.

დიდია მისი ღვაწლი პროექტების ექსპერტიზაში. იგი ევროკავშირის ექსპერტი გახლავთ მშენებლობის დარგში; მან გზა დაულოცა საქართველოში მშენებარე მრავალ უმნიშვნელოვანეს ობიექტს: წმინდა სამების საკათედრო ტაძარს, პრეზიდენტის რეზიდენციას ავლაბარში, „ლოკომოტივის“ სტადიონს, მრავალსართულიან სახლებს, 700-მდე მნიშვნელოვან ობიექტს.

ბ-ნ მალხაზის მრავალმხრივი მოღვაწეობა ხელისუფლების მხრიდან შეუმჩნეველი არ დარჩენილა: იგი საქართველოს დამსახურებული მშენებელია, როგორც ვთქვით, საბჭოთა კავშირის ორგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს პირველი პრემიის ლაურეატი, მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს პირველი პრემია და საკავშირო მიღწევათა გამოფენის ოქროს მედალი, საქართველოს საუკეთესო „წლის ინჟინრის“ წოდება მიენიჭა სამჯერ: 2003 წელს თბილისის მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაში შეტანილი წვლილის გამო, 2012 და 2013 წლებში სამშენებლო საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, ისტორიული ძეგლების შესწავლის და ახალი პროექტების დამუშავება-განხორციელებისათვის. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ყველაზე დიდი ჯილდო ბ-ნი მალხაზისათვის ის დიდი სითბო, სიყვარული და პატივისცემაა, რომელიც მან მოიპოვა საზოგადოებაში თავისი ცხოვრების წესით.

ბ-ნი მალხაზი დღესაც ჩვეულ ფორმაშია, მისი ხელმძღვანელობით შექმნილია საინიციატივო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში საქართველოში ცნობილი და მაღალი რანგის კონსტრუქტორ-მშენებლები არიან.

მის მიერ შექმნილმა სეისმომედეგმა კონსტრუქციებმა მრავალი მიწისძვრა გადაიტანეს, ისინი ახლაც გამოიყენება ბევრ ქვეყანაში.

მაგრამ დრო მოითხოვს, რომ საჭიროა ახალი, სეისმომედეგი კონსტრუქციების შექმნა, მეცნიერულად შესწავლა და დანერგვა.

ასეთი ნაგებობები სეისმოიზოლაციაზეა დამყარებული.

ამ კონსტრუქციულ სისტემებს იყენებს მრავალი ქვეყანა – იაპონია, აშშ, რუსეთი, შუა აზია, საფრანგეთი, ევროპის სხვა ქვეყნები, სომხეთი, ანუ ყველა განვითარებული ქვეყანა, გარდა საქართველოსი.

რამდენიმე წელია, ამისთვის იბრძვის ბატონი მალხაზი. იბრძვის, რათა საქართველოს მოსახლეობა უსაფრთხოდ ცხოვრობდეს.

ყველა ეთანხმება, მაგრამ არავინ ეხმარება.

ბ-ნი მალხაზი სანიმუშო მეოჯახეა, მზრუნველი მამა და მოსიყვარულე პაპა, საიმედო მეგობარი და დასაყრდენი, ურთიერთობაში უღალატო, პირდაპირი და სამართლიანი, ეს ყველაფერი ჰარმონიულად არის შერწყმული მის ინტელექტთან და პროფესიონალიზმთან.

ვუსურვებთ ქვეყნისა და მშენებლობის დარგისათვის თავდადებულ ბ-ნ მალხაზ ბედიაშვილს სიმხნევეს, ახალგაზრდულ შემართებას, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებულ შემოქმედებით და შრომით საქმიანობას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
ქალაქ თბილისის მერია;
საქართველოს საინჟინრო აკადემია;
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
ევროპის ინჟინერთა საბჭოს ოფიციალური წევრი – საქართველოს სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოება;
საქართველოს მშენებელთა ფედერაცია;
საქართველოს არქიტექტორთა კავშირი;
მშენებელ ექსპერტთა საქართველოს ასოციაცია.

◎ ფარმაცევტული ბიზნესი

რატომ არის გასაიდუმლოებული ქართული კანონმდებლობით წამლების კლინიკური კვლევები?

ქართული ფარმაცევტული ბაზარი, ერთი შეხედვით, სოლიდურად გამოიყურება, თუმცა, კითხვა – რამდენად შეესაბამება მედიკამენტების ხარისხი მის ეფექტიანობასა და უსაფრთხოებას, საზოგადოებაში ხშირად ტრიალებს. საინტერესოა, უცხოური მედიკამენტების ქართული ანალოგები აკმაყოფილებენ თუ არა შესაბამის სტანდარტებს. ფლობს თუ არა სახელმწიფო ფარმაცევტული ბიზნესის კონტროლის მექანიზმებს? რა უშლის ხელს ბაზრის გაფართოებას და კონკურენტული გარემოს შექმნას? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე bpn.ge ექსპერტს ფარმაციის საკითხებში თინა ტურძელაძეს ესაუბრა.

– ცნობილია, რომ წამლის შეფასება სამი კრიტერიუმით ხდება: უსაფრთხოება, ეფექტურობა და ხარისხი. რამდენად აკმაყოფილებს დღევანდელი ფარმაცევტული ბაზარი ამ კრიტერიუმებს?

– ჩვენს ბაზარზე არ იზომება არც წამლის უსაფრთხოება, არც მისი ეფექტიანობა და, ფაქტობრივად, არც ხარისხი. ამაზე შესაბამისი პროგრამის სტატისტიკაც მეტყველებს. ფალსიფიცირებისა და კონტრაფაქტის გლობალური ტრენდის პირობებში, როცა მეზობელი ქვეყნების მარეგულირებლები უხარისხო წამლების ასეულობით სერიებს ავლენენ, საქართველოში 2013 წელს მხოლოდ ერთი ერთეული წუნდება გამოვლინდა. 2014 წლის 1 ოქტომბრამდეც, ასევე ერთი ერთეული იყო გამოვლენილი და ეს პროგრამა ბიუჯეტს წლიურად საშუალოდ 70 000 ლარი უჯდება. ასეთ კონტროლს აზრი არ აქვს. საქმე ან ლაბორატორიის ტექნიკური კომპეტენციის პრობლემასთან გვაქვს, ან არავალიდურ სტანდარტებთან, ან უხარისხო ადმინისტრირებასთან და ან ყველაფერთან ერთად. ამ მონაცემებით ჩვენ მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა ვართ, სადაც ხარისხის პრობლემა არ არსებობს. ასეთი მონაცემები ამერიკას და ევროპასაც კი არ აქვს.

– ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლები ხშირად ამბობენ, რომ მათ მიერ შემოტანილ მედიკამენტებს ჯმპ სერტიფიკატი აქვს, რაც ხარისხიანი წამლის შემოტანას ნიშნავს. არის თუ არა ეს ასე? ჯმპ პროდუქციის ხარისხს განსაზღვრავს თუ საწარმოო პროცესს, ანუ, იმას, თუ რამდენად კარგად დაფასოვდა ქარხანაში შესული ნედლეული? რა რეგულატორული მექანიზმი აქვს სახელმწიფოს ჩვენს ბაზარზე წამლების ხარისხის განსასაზღვრად?

– ხარისხით სტანდარტთან შესაბამისობა ფასდება. ამიტომ გამონათქვამი, რომ სტანდარტი უზრუნველყოფს პრეპარატის ხარისხს, სწორია. მაგრამ ხარისხი თავისთავად თერაპიულ ეფექტურობასა და უსაფრთხოებას არ ნიშნავს. ამიტომ მიზანი ეფექტური და უსაფრთხო წამლის სტანდარტულობაა და არა სტანდარტულობა დაუდგენელი ეფექტურობით და უსაფრთხოებით. უბრალოდ, ადამიანებისთვის ყველა ეს მახასიათებელი ხარისხთან ასოცირდება. წამლის შემთხვევაში კი ეს ყველაფერი ერთი და იგივე არ არის.

– რამდენად აკმაყოფილებს სტანდარტებს უცხოური მედიკამენტების ქართული ანალოგები, რომლებსაც აფთიაქებში ხშირად გვთავაზობენ?

– ქართული წამლების თერაპიული ეკვივალენტობა საერთაშორისო სტანდარტებით არ ფასდება, ამიტომ შესაბამისობა დადგენილი არ არის. საქართველოში ბიოეკვივალენტობის კვლევები საერთოდ არ ტარდება. რაც შეეხება ქართული წამლების კლინიკურ კვლევებს, ეს კანონმდებლობით დახურული ინფორმაციაა. და ეს მაშინ, როცა მთელს მსოფლიოში კვლევები გასაჯაროებულია და ონლაინრეჟიმში ყველას შეუძლია კვლევის შედეგებს გაეცნოს. ეს საერთაშორისო ნორმების ნაწილია. ჩვენთან ქართული წამლების კვლევების მონაცემები გასაიდუმლოებულია.

– რაც შეეხება ფასებს, ხშირად ამბობენ, რომ ქართული ფარმაცევტული ბაზარი საკმაოდ ძვირია. რა არის ამის მიზეზი? რატომ ვერ ხერხდება ბაზრის გაფართოება, ჯანსაღი კონკურენცია, რაც ფასებზეც მოახდენდა ასახვას?

– ჩვენი მოსახლეობისთვის წამლები ნამდვილად ძვირია. საქართველო მსოფლიოს მოსახლეობის იმ ნაწილს მიეკუთვნება, რომელსაც მწვავედ უდგას სასიცოცხლო მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. მსოფლიოში, სამწუხაროდ, ამ კატეგორიის ადამიანთა რაოდენობა ორ მილიარდს აღწევს. პრობლემის მთავარი მიზეზი წამლებზე პირდაპირი გადახდებია, ანუ ჯიბიდან გადახდები. სანამ სუბსიდირების საკითხები არ მოგვარდება, მედიკამენტების ხელმისაწვდომობის პრობლემა კვლავ პრობლემად დარჩება. წამლები 20%-თაც რომ გაიაფდეს, ეს მხოლოდ მცირე შეღავათი იქნება და ხელმისაწვდომობის საკითხი დღის წესრიგიდან არ მოიხსნება. სამწუხაროდ, წამლები სულ უფრო ძვირდება. ასეთ პირობებში, როცა სახეზე არაეთიკური პოლიპრაგმაზია (ავადმყოფისათვის ერთდროულად გაუმართლებლად მრავალი წამლისა და სამკურნალო პროცედურის დანიშვნა) გვაქვს, წამლების მასშტაბური სუბსიდირება არ შეიძლება. და, თუ მაინც მოხდება, სულ მცირე, ეს გამოიწვევს არარაციონალურ ხარჯს კორუფციის მაღალი რისკებით.

იმ ბიზნესმოდელის პირობებში, რაც წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა (საუბარი მაქვს ჰოლდინგურ ბიზნესმოდელზე, სადაც წარმოება, იმპორტი, დისტრიბუცია, საცალო რეალიზაცია, კლინიკები და პოლიკლინიკებია გაერთიანებული), ბაზრის გაფართოება და რეალური კონკურენცია რთულია. ასეთ მოდელთან მონო ბიზნესი (საფთიაქო, სადისტრიბუციო ან იმპორტიორი), კონკურენციაში ვერ შევა. მათ მოუწევთ იძულებითი კოოპერაცია ჰოლდინგთან. ერთადერთი, ვისაც მსხვილ კომპანიებთან კონკურენცია შეუძლია, ისევ ჰოლდინგური ბიზნეს-მოდელის მქონე ინვესტორია. დიდი ალბათობით, ეს კონკურენცია ან კარტელური გარიგებით დასრულდება, ან რომელიმე დათმობს თავის პოზიციებს და მას მეორე ჩაანაცვლებს.

– რა რეფორმებია ჩასატარებელი ამ სფეროს მოსაწესრიგებლად? კანონმდებლობა რამდენად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს?

– ჩვენ არ გვაქვს სტანდარტები, არც ევროპული და არც ქართული. ჩვენი სისტემა მხოლოდ ადმინისტრაციული მეთოდებით, აკრძალვებით და დაშვებებით იმართება. ქვეყნის შეზღუდული ფინანსური და ტექნიკური რესურსების გამო, ქართული მარეგულირებელი ამერიკულის, ევროგაერთიანების, ან იაპონური სისტემის ანალოგი ვერ იქნება. ამის აუცილებლობა არც არსებობს. საჭიროა წამლის უსაფრთხოებასთან, ეფექტურობასთან და ხარისხთან მიმართებაში, იგივე იდეოლოგიის მატარებელი მცირე მოდელის შექმნა.

ესაუბრა
ნონა გურნაძე

◎ ბიზნესი

რას მოუტანს ახალი ნორმატივები ქართული ღვინის ინდუსტრიას?

ამ ბოლო დროს ფალსიფიკაციის ყველაზე მეტი შემთხვევა გერმანიაში აღირიცხა

16 თებერვლიდან საქართველოში ალკოჰოლური სასმელების სერტიფიკაციის ახალი წესები ამოქმედდა. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ღვინის ეროვნულ სააგენტოს საშუალება ექნება უფრო ეფექტიანად წარმართონ ალკოჰოლური სასმელების სერტიფიცირება, საინსპექციო კონტროლი და სხვა პროცედურები. სამინისტროში იმედოვნებენ, რომ ეს ცვლილება იქნება ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მაღალი ხარისხის გარანტი და ხელს შეუშლის ქართული ღვინის ფალსიფიკაციას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. ახალი რეგულაციების დახმარებით, ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოებასა და ექსპორტში ჩართულ მეწარმეებს საქმიანობა გაუმარტივდებათ.

ახალი ნორმატივები სასიკეთო იქნება ქართული ღვინის ინდუსტრიისათვის, – გვითხრა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ლევან დავითაშვილმა, რომელსაც ამ საკითხის განხილვა ვთხოვეთ.

ლევან დავითაშვილი: ახალი ნორმატიული აქტი, რომელიც სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა, ამ კვირიდან უკვე ძალაში შევა და ამოქმედდება. ის მთლიანად შეცვლის ღვინის ხარისხის კონტროლის პროცედურებს. სერტიფიცირება, ანუ შესაბამისობის სერტიფიკატი გაიცემა მაშინვე, როგორც კი ღვინის ხარისხი შემოწმდება ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ. შემოწმება აქამდეც ხდებოდა, უბრალოდ, პროცედურებია შეცვლილი. რას გულისხმობს ეს შეცვლილი პროცედურები? – აქ ორი მნიშვნელოვანი ცვლილებაა – ერთი ის, რომ გამარტივდა პროდუქციის სერტიფიცირება, რის გამოც მეწარმეებს ყოველ ჯერზე აღარ მოუწევთ ლაბორატორიული შემოწმების ჩატარება თავიანთ პროდუქციაზე, ამის ნაცვლად მათ შეუძლიათ ჩაატარონ ერთი მთლიანი ლოტის ლაბორატორიული და სადეგუსტაციო შემოწმება. შემდგომში, ამ ლოტის პარტიებად გაყიდვის შემთხვევაში, მათ აღარ მოუწევთ ინდივიდუალური, ანუ დამატებითი შემოწმება ჩაატარონ. აქედან გამომდინარე, ექსპორტიორებს ძალიან გაუადვილდებათ საქმიანობა. ასევე სავალდებულო ხდება ღვინის მარკირებაც – ეს ნიშნავს, რომ ყველა ლოტზე უნდა ეწეროს შესაბამისი ნომერი, რომელიც ინახება ღვინის ეროვნული სააგენტოს სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში. ამ ნომერში შევა მთელი ინფორმაცია, რაც ამ ღვინოს ეხება მოსავლის აღებიდან ბოთლში ჩამოსხმამდე. იქ ჩანს მთელი პროცესი – რა რაოდენობის ყურძენი მიიღეს და როგორ გადაამუშავეს – ყველანაირი ინფორმაცია, რაც ღვინის ეროვნულ სააგენტოს აქვს ამ ღვინის თაობაზე.

– ე.ი. ფალსიფიცირების შემთხვევები მინიმუმამდე შემცირდება?

– მინიმუმამდე არა, ამ ნორმატივების დახმარებით ფალსიფიკაციის შანსები თითქმის ნულამდე მცირდება. იმ შემთხვევაში, თუ უკვე შემოწმებული ლოტის ნომრით შეუმოწმებელი პროდუქტი გაიყიდება, ეს მაშინვე გამჟღავნდება. ღვინის ეროვნული სააგენტო მთელი წელი მუშაობდა იმაზე, რომ ეს სისტემა შეგვექმნა. უკვე გვაქვს ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა, შეძენილია დანადგარი, რომელიც ლოტის ნომერს ადგენს და ეს პროცედურა ადამიანის თითის ანაბეჭდის ტესტის იდენტურია. შესაბამისად, ლოტის ამ ნომრის არაკეთილსინდისიერი გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებაა სადეგუსტაციო პროცესის შეცვლაც: აქამდე ქართული კანონმდებლობით დაცული ადგილწარმოშობის ღვინოები, როგორიცაა ქინძმარაული, მუკუზანი, ხვანჭკარა და სხვა, სპეციალურ სადეგუსტაციო შემოწმებას გადიოდა – ამ დროს სადეგუსტაციო კომისია ამტკიცებდა, რომ ესა თუ ის ღვინო კარგია, ან უვარგისი. ახალი ნორმატივის მიხედვით, 5-ქულიანი სისტემა შემოდის, რომლის მიხედვითაც, თუ ღვინო 1,5 ქულაზე ნაკლებს მიიღებს, ექსპორტზე ვერ გავა და მასზე შესაბამისობის სერტიფიკატი არ გაიცემა. 1,5-ის ზემოთ დაგროვილი ქულები კი უფრო მაღალი ხარისხის მაჩვენებელი იქნება. ასეთი სისტემის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, როგორ იცვლება ამა თუ იმ ღვინის ხარისხი.

– ქართული ღვინის ფალსიფიცირების შემთხვევები ყოველთვის ხშირი იყო. ახლა რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

– ბოლო ხანებში სიტუაცია გაუმჯობესებულია, ვერ ვიტყვით, რომ მწარმოებლები არაკეთილსინდისიერად იქცევიან, თუმცა, ახალი რეგულაციებით გაყალბების თეორიული შანსიც კი გამოირიცხება. სხვა ქვეყნებში შეიძლება ვიღაცამ ქართული ეტიკეტით გაყალბებული ღვინო გამოუშვას. აქამდე ჩვენ გვიჭირდა იმის მტკიცება, რომ ეს არ იყო ქართული ღვინო, ახლა კი, ყველა ლოტის ღვინო მარკირებული გვაქვს და შეგვიძლია, ზუსტად დავადგინოთ, ეს მართლა ამ ლოტის ღვინოა, თუ ფალსიფიცირებული. ამიტომ, თავისთავად გამოირიცხება, რომ სადღაც, რუსეთში, უკრაინაში, თუ სხვა ქვეყანაში ქართული დასახელების ღვინო უკონტროლოდ გამოიცეს. აქვე უნდა აღვნიშნო: არავინ უნდა იფიქროს, რომ რუსეთი ფალსიფიკაციის ბუდეა და ასეთი რამ სხვაგან არ ხდება, ამ ბოლო ხანებში ფალსიფიკაციის ყველაზე მეტი შემთხვევა გერმანიაში აღინიშნა. ახლა ჩვენ უკვე ადვილად შეგვიძლია, შევამოწმოთ, შეესაბამება თუ არა გასაყიდი ღვინო იმ ლოტს, რომელიც ღვინის ეროვნულ სააგენტოში ინახება. გერმანიის სანიტარიული სამსახურებიც უკვე იღებენ დოკუმენტურ მასალას და თუ მსგავსი რამ განმეორდება, სიმართლის დამტკიცება აღარ გაგვიძნელდება.

– როგორ იმოქმედებს ეს ცვლილება ექსპორტიორების საქმიანობაზე, როგორ შეამცირებს მათ ხარჯებს?

– ქართული ღვინო 30-მდე პარამეტრის მიხედვით მოწმდება და, ბუნებრივია, ამდენი პარამეტრის გამოცდა სერიოზულ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ახლა ჩვენს მეწარმეებს პროდუქციის ყოველ ჯერზე გამოცდა აღარ მოუწევთ, ახალი რეგულაცია მათთვის შეღავათის მომტანი იქნება. ეს მათ ერთი მხრივ, დროის ეკონომიას მოუტანს, ხოლო მეორე მხრივ – დანახარჯებისა. ვფიქრობთ, რომ ახალი ნორმატივები ეფექტიანი იქნება და ჩვენი შრომა უკვალოდ არ ჩაივლის.

– ბოლო მონაცემებით, ქართული ღვინის ექსპორტი საგრძნობლად შემცირდა: 2015 წლის იანვრის თვეში რეალიზაცია რუსეთის ფედერაციაში 87%-ით არის შემცირებული, აზერბაიჯანში –70%-ით, უკრაინაში – 52%-ით, ესტონეთში – 49%-ით... ხომ არ არის ეს საგანგაშო ტენდენცია?

– ბოლო ხანებში ღვინის ექსპორტი მართლაც შემცირებულია. 2014 წელი რეკორდული იყო დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, რადგან ამდენი ღვინო ბოლო წლებში ექსპორტზე არ გასულა. იანვარი ისედაც არ არის ამ სფეროში აქტიური თვე, ამიტომ შემცირების ტენდენციაზე მსჯელობა ჯერ ნაადრევია. ამავე დროს, ჩვენ გვესმის, რომ ეს რისკი არსებობს, რადგან ძირითად საექსპორტო ქვეყნებში სერიოზული შეფერხებებია – უკრაინა, რუსეთი, ყაზახეთი – ამ ქვეყნებს სერიოზული ეკონომიკური პრობლემები აქვთ. თუმცა, იმედი გვაქვს, რომ წლის განმავლობაში ყველაფერი დაბალანსდება თუნდაც ახალი ბაზრების ხარჯზე. საკმაოდ გაზრდილია ქართული ღვინის ექსპორტი ჩინეთის ბაზარზე, კანადაში, იაპონიაში, პოლონეთში, ამიტომ, პირველი კვარტალის მონაცემებით მთლიან შედეგებზე ჯერ ვერ ვიმსჯელებთ. მართალია, ღვინის ბაზარზე კონკურენცია ძალიან მაღალია, ახალი ბაზრების მოპოვებასაც დიდი დრო სჭირდება, მაგრამ მთავარია, რომ ამ მიმართულებით მუშაობას არ ვწყვეტთ.

ესაუბრა
ხათუნა ჩიგოგიძე

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მიხეილ სააკაშვილი საქართველოში დაბრუნებას დაგეპირდა

ყოფილი პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ კვლავ მოვა ხელისუფლებაში არაუგვიანეს 2016 წლისა

საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამოთქვა რწმენა, რომ ის და მისი გუნდი შეძლებენ ხელისუფლებაში დაბრუნებას არაუგვიანეს 2016 წლისა, როდესაც ქვეყანაში მორიგი საპარლამენტო არჩევნები გაიმართება. ხელსაყრელ პირობად ამისთვის ბატონი სააკაშვილი მიიჩნევს „რუსეთის საბოლოო დანგრევას“ და კრიზისის გაღრმავებას საქართველოში.

თავისი მზადყოფნის შესახებ, დაბრუნდეს სამშობლოში, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ინტერვიუში. **„ჩვენ გვინდა, რომ საქართველოს განვითარება, რომელიც ამჟამად გამყინვარებაში იმყოფება, გაგრძელდეს“,** — განაცხადა მან და ამავე დროს აღნიშნა, რომ ამისთვის ამჟამად იქმნება ხელსაყრელი საგარეო პირობები. ექს-პრეზიდენტის აზრით, ამჟამად ასეთ „ხელსაყრელ საგარეო პირობად“ არის „რუსეთის დაშლა, რაც ჩვენს თვალწინ ხდება“.

ბატონმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ უარი თქვა უკრაინის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს წინადადებაზე, დაიკავოს მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერის პოსტი, მიიღოს უკრაინის მოქალაქეობა, ვინაიდან ამ შემთხვევაში მას მოუწევდა უარი ეთქვა საქართველოს მოქალაქეობაზე. **„ჩვენ ქვეყანას სჭირდება განვითარება და მისი გაერთიანება გარდაუვალია“,** — განაცხადა ყოფილმა პრეზიდენტმა. მან მოუწოდა მომხრეებს, არ დაეცენ სულით და დაელოდონ 2016 წლის პარლამენტის არჩევნებს, როდესაც, მისი სიტყვებით, მოხდება ხელისუფლების შეცვლა და ის საქართველოში დაბრუნდება. სხვათა შორის, მიხეილ სააკაშვილის ეს განცხადება ეწინააღმდეგება მისსავე გამონათქვამს იმის შესახებ, რომ ოპოზიცია **„ვერ შეძლებს შეცვალოს რუსი ოლიგარქის ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება არჩევნების შედეგად“.**

ადრე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური გვაფრთხილებდა: **ხელისუფლების მოწინააღმდეგეები „ამზადებენ ქვეყანაში მასშტაბურ პროვოკაციებს“.**

Коммерсантъ

ვიქტორია ნულანდი საქართველოში ჩამოვიდა

კავკასიის ქვეყნებში თავისი ტურნეს ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ვიქტორია ნულანდი ერთდღიანი ვიზიტით ჩამოვიდა საქართველოში.

ნულანდმა გამართა შეხვედრები საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მათ შორის, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან. იგი შეხვდა აგრეთვე ოპოზიციას და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

„ამერიკის შეერთებული შტატები 100 პროცენტით უჭერს მხარს მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს საქართველოში, ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის პროცესს, აგრეთვე საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას“,— ნათქვამია საქართველოს პრემიერის პრესსამსახურის ცნობაში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწესთან შეხვედრების შედეგებთან დაკავშირებით.

ინფორმაციის თანახმად, რომელიც ქართულმა მხარემ გაავრცელა, შეხვედრაზე განიხილებოდა სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოების პერსპექტივები ქვეყნებს შორის, აგრეთვე რეგიონალური უშიშროებისა და საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაზრდის საკითხები. საქართველოში განხორციელებული რეფორმების განხილვის დროს, იტყობინება ღარიბაშვილის პრესსამსახური, ვიქტორია ნულანდმა დაადასტურა ამერიკის შეერთებული შტატების მზადყოფნა, ჩართოს ამერიკელი ექსპერტები შინაგან საქმეთა სამინისტროს და მთავარი პროკურატურის რეფორმირების პროცესებში.

თავის მხრივ, საქართველოს მთავრობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის მნიშვნელობა და განაცხადა, რომ „საქართველო ყველაფერს გააკეთებს ნომერ პირველ სტრატეგიულ პარტნიორთან ურთიერთობათა გაღრმავებისთვის“.

ვიქტორია ნულანდი ჩამოვიდა საქართველოში აზერბაიჯანიდან, სადაც განიხილა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხების ფართო სპექტრი.

რუსეთს განზრახული აქვს, გააუქმოს საზღვარი აფხაზეთთან

ამ დროს სოხუმში ერთდღიანი ვიზიტით მყოფმა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწემ ვლადისლავ სურკოვმა განაცხადა მოსკოვის გეგმების შესახებ — გააუქმოს შეზღუდვები გადაადგილებისთვის „ფსოუს“ გადასასვლელზე.

„რუსეთთან საზღვარი მომავალში უნდა მოიხსნას. და ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულებით ჩვენ ორ მხარეს შორის“,— განაცხადა სურკოვმა 16 თებერვალს აფხაზეთის ლიდერ რაულ ხაჯიმბასთან შეხვედრის დროს.

მან ასევე განაცხადა რუსეთის გადაწყვეტილების შესახებ, მიუხედავად ეკონომიკური სირთულეებისა, არ შეამციროს აფხაზეთისთვის ფინანსური დახმარება.

„დღეს რუსეთში რთული სიტუაციაა, მიმდინარეობს ხარჯების შემცირება, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტმა... მიიღო გადაწყვეტილება არ შეამციროს ხარჯები, რომლებიც აფხაზეთის მხარდაჭერასთანაა დაკავშირებული. საუბარი შეეხება 9,3 მილიარდ რუბლს, და, ბუნებრივია, ეს აფხაზეთის მხარის საქმეა, თუ როგორ და როგორ უკეთ დახარჯოს იგი“, — განაცხადა სურკოვმა სოხუმში.

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ ასევე გვაცნობა, რომ რუსეთში ჩამოყალიბებულ საინვესტიციო სააგენტოს „აფხაზეთის განვითარების მიზნით, გამოეყო 3 მილიარდი რუბლი, რომლებიც „დამატებითი საფინანსო რესურსია“ აფხაზეთისთვის რუსეთის ბიუჯეტში.

თავის მხრივ, რაულ ხაჯიმბამ თავის კომენტარებში სურკოვის სიტყვებზე განაცხადა:

„ყველაფერი იქნება. იქნება შესაძლებლობა, გავზარდოთ პენსიები, შესაძლებლობა გავზარდოთ ჩვენი ხელფასები“.

დიალოგი გრძელდება?

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც 2014 წლის 24 ნოემბერს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და აფხაზეთის ხელმძღვანელმა რაულ ხაჯიმბამ ხელი მოაწერეს ახალ ხელშეკრულებას რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის, რომელიც ითვალისწინებს საერთო თავდაცვითი ინფრასტრუქტურის ფორმირებას, აგრეთვე რუსი და აფხაზი ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნას გაერთიანებული სარდლობით, თბილისმა დროებით შეაჩერა საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკების ფორმატი. მათი უკანასკნელი შეხვედრა შარშან ოქტომბერში გაიმართა.

მაგრამ, როგორც 17 თებერვალს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, ერთი დღით ადრე გაიმართა სატელეფონო საუბარი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძეს შორის, რომლის შედეგადაც მხარეებმა მოილაპარაკეს შემდეგი შეხვედრის მოწყობის შესახებ თებერვლის ბოლოს პრაღაში.

ოპოზიციაში მყოფმა პარტიამ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გააკრიტიკა დიალოგის გაგრძელება ამ ფორმატში, და აღნიშნა, რომ იგი არ შეესაბამება საქართველოს ინტერესებს.

„ზოგჯერ დიალოგი აუცილებელია მტრულ ქვეყანასთანაც. პრობლემა ის არის, რომ ამ დიალოგს იყენებენ ჩვენი ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ. კერძოდ, იქმნება ცრუ შთაბეჭდილება ქვეყნის შიგნით და მის გარეთ, თითქოს ადგილი აქვს რაღაც პროგრესს, როდესაც რუსეთი ნაბიჯნაბიჯ აყენებს ზიანს ჩვენს ქვეყანას, და ეს ყოველივე ხდება ამ დიალოგის ლამაზი შეფერილობით“, — განაცხადა 17 თებერვალს თავის კომენტარებში საქართველოს უშიშროების საბჭოს ექს-ხელმძღვანელმა გიგა ბოკერიამ.

შეგახსენებთ, რომ რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, რუსეთმა 2008 წელს აღიარა ორი ქართული რეგიონის — აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის — დამოუკიდებლობა და თავის სამხედრო ბაზებზე გადაისროლა დამატებითი ჯარები და შეიარაღება. მსოფლიოს ყველა სახელმწიფო — ვენესუელის, ნიკარაგუასა და ნაურუს გარდა — ამ რეგიონებს აღიარებს საქართველოს ტერიტორიად, რომელიც რუსეთის მიერაა ოკუპირებული.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

რუსეთმა 2014 წელს ინდოეთს მიაწოდა 4,7 მილიარდი დოლარის სამხედრო ტექნიკა

მთლიანად თანამშრომლობის მთელი პერიოდის განმავლობაში მოსკოვმა ნიუ-დელის 40 მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღი მიაწოდა. უახლოეს გეგმებშია შვეულმფრენების, გემბანიანი თვითმფრინავების, აგრეთვე მრავალფუნქციური გამანადგურებლებისა და მრავალმიზნობრივი სატრანსპორტო თვითმფრინავების ერთობლივი დამუშავებაა.

თოვლით დაფარული ბოსტონის მერმა მოუწოდა ქალაქის მცხოვრებლებს, ნულარ გადმოხტებიან ფანჯრებიდან ნამქერებში

ძლიერი თოვლის შემდეგ, რომელმაც გასულ უქმე დღეებში ბოსტონი დაფარა, სინოპტიკოსები იტყობინებოდნენ, რომ თებერვალი ქალაქში 1972 წლიდან ყველაზე თოვლიანი თვე გახდა. ნალექები მოვიდა ათჯერ უფრო მეტი, ვიდრე ამ ადგილებში ზამთრობით არის ხოლმე. ექსტრემალები სარგებლობენ შემთხვევით და ერთობიან ნამქერებში ხტომით.

ეგვიპტემ პუტინის ვიზიტის შემდეგ გადაწყვიტა, გაახანგრძლივოს სავიზო შენაკრების გაუქმება რუსეთელებისთვის და ნება მისცეს მათ, გადაიხადონ რუბლებით

იმასთან დაკავშირებით, რომ ტურისტების ნაკადი რუსეთიდან ეგვიპტეში წლის ბოლოს თითქმის ორმაგად შემცირდა, ქვეყნის ხელისუფლებამ ადრე მიიღო გადაწყვეტილება, გააუქმოს 2015 წლის 15 იანვრიდან 30 აპრილამდე შემოსასვლელი ვიზების გადასახადი 25 დოლარის ოდენობით ერთ კაცზე. ახლა მთავრობამ გადაწყვიტა, გაგრძელოს ეს პრაქტიკა უფრო ხანგრძლივი ვადით.

აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო გაასაჩივრებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც ბლოკავს ობამას საიმიგრაციო რეფორმას

რეფორმამ, რომელსაც შეუძლია ამერიკის შეერთებულ შტატებში მოახდინოს 5 მილიონ მიგრანტამდე ადამიანის ლეგალიზება, სტარტი გაზაფხულზე უნდა აიღოს. მაგრამ იგი ობამამ კონგრესის გვერდის ავლით დაამტკიცა, რამაც წარმოქმნა სირთულეები დაფინანსებასა და მთელი რიგი სასამართლო სარჩელები.

◎ სირცხვილია!

რა გვჭირს სხვათა საზიარო?!

არ იცნობს საქართველოს და ქართულ კინემატოგრაფს ალენ დელონი და, რა ვქნათ ახლა?.. მისმა სამშობლომ — საფრანგეთმა კინემატოგრაფიის ხელოვნებას რომ აზიარა მსოფლიო მეოცე საუკუნის კარიბჭესთან და საქართველომაც ერთ ათ წელიწადში თავისი კინოპროდუქციით მოიწონა თავი, ამას წყალი არ გაუვა. ფაქტია ისიც, რომ სწორედ საფრანგეთის ქალაქ კანში, 1957 წლის კინოფესტივალზე, ჩვენმა უნიჭიერესმა „ტანდემმა“, ახალგაზრდა კინორეჟისორებმა თენგიზ აბულაძემ და რევაზ ჩხეიძემ ფილმისთვის „მაგდანას ლურჯა“ ოქროს მედალი მოიპოვეს.

მოდის და მოდის ამის შემდეგ ქართული კინო, არც მედლები აკლია და არც პრემიები, ხოლო, ამ ბოლო დროს, იგი კვლავაც გამობრწყინდა, კერძოდ, რეჟისორების **გიორგი ოვაშვილისა** და **ზაზა ურუშაძის** ფილმებმა, სხვადასხვა კინოფესტივალებზე პრემიები არ დაიკლეს და, ჩვენდა სასიხარულოდ, „ოსკარამდეც“ მიაღწიეს. კერძოდ, უცხოური ფილმების კონკურსში ზაზა ურუშაძის „მანდარინები“, ხუთ საუკეთესო ფილმში ტრიალებს და 22 თებერვალს ჟიურის საბოლოო გადაწყვეტილებას ელოდება.



„მანდარინებმა“ „ოსკარი“ კიდევაც რომ ვერ მოიპოვონ, გული არ დაგვწყდება, მაგრამ მაინც რჩება გულდასაწყვეტი ფაქტი.

იმის გამო, რომ თანხა არ ჰყოფნიდა, „მანდარინების“ დამდგმელმა რეჟისორმა ზაზა ურუშაძემ, რახან ამ ფილმში ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი ესტონელი მსახიობი იყო, თანხის მოზიდვის მიზნით, საერთოდ, „შეიამხანაგა“ ესტონელი კოლეგები, რამაც „მანდარინები“ ესტონურ კინონაწარმოებად „მონათლა“ და ასევეა წარდგენილი „ოსკარზე“, ანუ, თუ ბედმა გაუღიმა „ოსკარს“ მიიღებს ესტონური ფილმი, არადა, მასში ყველაფერი ქართულია.

ამ პრობლემაზე საუბრობდა იმ დღეს გიორგი ოვაშვილიც. სახელგანთქმული **„სიმინდის კუნძულის“** (სცენარის ავტორი ნუგზარ შატაიძე) დამდგმელი-რეჟისორი. როგორც გავიგეთ, იგი იღებს ფილმს ზვიად გამსახურდიას სიცოცხლის ბოლო დღეებზე სამეგრელოს სოფელ ხიბულაში. ფილმსაც ასე ერქმევა, ოღონდ ჯერ გადაღებაა მთავარი, ანუ ფული, ფული, ფული... ჰოდა, ოვაშვილმა ისიც თქვა, შეიძლება, ფულის გამო, უცხოელებს „შევეკრათო“.

რა უნდა ვთქვათ? ნუთუ წესად უნდა დავამკვიდროთ, რომ კინოსთვის ჩვენში არავის სცხელა და კულტურის სამინისტროსა და სახელმწიფო კინოცენტრს მხოლოდღა მინიმალური თანხა შეუძლიათ გამოუყონ ამა თუ იმ კინოსცენარს!..

კარგია, რომ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ქალბატონი ნანა ჯანელიძე ოვაშვილის გამოსვლას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ფილმს ზვიად გამსახურდიაზე, რაც უნდა დაგვიჯდეს, ქართული ჯგუფი გადაიღებსო!

ღმერთმა ქნას!

ვილენ მარდალეიშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ტურისტების რაოდენობაზე მოქმედებდა, სამწუხაროდ, ისევ ძალაშია

ამის შესახებ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ ჟურნალისტებს იმ კითხვის საპასუხოდ განუცხადა, თუ რა მოლოდინები აქვს მას თებერვალში, ტურისტების რაოდენობასთან დაკავშირებით.

„პროგნოზირება ჯერ გვიჭირს, რადგან ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც მოქმედებდა ტურისტების რაოდენობაზე, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ისევ ძალაშია. იგულისხმება რეგიონში რთული ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინასთან მიმართებაში. ჩვენ დაველოდებით ამ ციფრებს, თუმცა, აქტიურად ვმუშაობთ იმისთვის, რომ მეტი პოპულარიზაცია გავუკეთოთ საქართველოს ტურისტულ პოტენციალს ამა თუ იმ ბაზარზე“, — განაცხადა ჩოგოვაძემ.

მისივე თქმით, 2014 წელს ევროკავშირიდან იყო ტურისტების რაოდენობის 10%-იანი მატება. შესაბამისად, ევროკავშირიდან ტურისტების რაოდენობის შემცირებას გიორგი ჩოგოვაძე არც ამჯერად ელოდება.

პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე გზა გადაკეტეს

იპოთეკით დაზარალებულებმა პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე გზა გადაკეტეს და აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები ხელისუფლებას უმოქმედობაში ადანაშაულებენ და გამოსახლებების შეჩერებას ითხოვენ.

როგორც იპოთეკით დაზარალებულები აცხადებენ, ხელისუფლება მათ პრობლემებს იგნორირებას უკეთებს, რაც იპოთეკით დაზარალებულებს სერიოზულ პრობლემას უქმნის.

პარლამენტის წინ მიმდინარე აქციას ასევე უვადო მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები შეუერთდნენ, რომლებმაც აქციაზე მთავრობის გადაყენება მოითხოვეს.

ამ დროისთვის პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილება შეზღუდული არ არის.

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს თემურ ბაკურიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თემურ ბაკურიძე (პირადი №61001005323), მის: ქ. ბათუმი, ჰ. აბაშიძის ქ. №23;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი განთიადი, 1119 27.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 22.21.10.014).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 19 0267.72 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი, პლიუს 11 ლარი და სპეციალისტის მომსახურების საფასური — 30595.08 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 10 მარტს, 10:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** შპს „იბერია ენერჯი“ (ს/კ 245425589), მის: ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი განთიადი;

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 10 მარტს, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ კვალი დროში

ქართული ვაზის ტრფიალი

თამაზ ქვლივიძეს, როგორც საქართველოს დამსახურებულ გამომგონებელს, კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა. იგი 45 წელიწადია, ერთგულად ემსახურება საგამომგონებლო საქმეს, რამდენიმე წიგნიც აქვს ამ საკითხებზე გამოქვეყნებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვლივიძისეული ვენახების გაშენება მაღალი და დაბალი რიგებით, საერთოდ ბევრი რამ სიახლის შემოტანა ვაზთან დაკავშირებით, რისთვისაც იგი დაჯილდოებულია უმაღლესი საავტორო გასამრჯელოებით და ოქროს მედლებით. არის რამდენიმე ეროვნული ინიციატივის ავტორი.

ახლახან თამაზ ქვლივიძეს 60 წელი შეუსრულდა. ბევრ მეგობართან ერთად ჩვენც სულითა და გულით ვულოცავთ ამ შესანიშნავ თარიღს.

თამაზი, როგორც ვაზთან დამეგობრებული მეცნიერ-გამომგონებელი, ხან პოეტურადაც ეხმიანება ქართული მიწის მშვენებას — ვაზს. ერთ-ერთ ბოლო ნიმუშს დღეს გთავაზობთ.

ვენახი კაცის დიდი განძია,
მოერთგულე და მისთვის შობილი,
დარდის და სევდის დამვიწყებელი,
ლხინის და ჭირის ნაღდი ძმობილი.

დიდება იმათ ჭკუა-გონებას,
ვინც კი პირველად ვაზს გვაზიარა,
ვინც გაშენება-მოვლა გვასწავლა
და დიდი ცოდნა გაგვიზიარა.

მადლობა გლეხკაცს მრავალ ჯიშისთვის,
ვინაც ყურძენი ღვინოდ აქცია,
ვინაც ამოხსნა ამოუხსნელი,
და ჭაჭა არყად გადააქცია.

ჩვენ თუ ვამაყობთ ბრძენ წინაპრებით,
ვამაყობთ ქვეყნით, ქცეულს ედემად,
ჩვენც ხომ გვეკუთვნის, შთამომავლობას
გადავცეთ ჩვენი შემოქმედება.

ურომლისოდაც მცირე მიწაზე
ვერ აყვავდება არეც და მხარეც,
და ვერ გავხდებით დედამიწაზე
სამაგალითოც, სხვების დამხმარეც.
გულში თუ მოგვხვდა ხინჯად ისარი,
მე ვიმეტყველებ მოყვასის ენით,
ქვეყნის სირცხვილი სწორედ ის არი,
ვენახსა ვხნავდეთ, ვით ძველად, ცხენით.

ასი ათასი ჰექტარი ცდება,
ხელით სხურდება ვაზის ლერწები,
მაშინ, როდესაც წინსვლას გვპირდება
ჩემი შექმნილი სიახლეები.

აი, ნამდვილი სიმართლის მჩენი,
ძველის მიყოლით მცირდება ქისა,
ვაზის სამშობლო, ქვეყანა ჩვენი
ყურძენს ყიდულობს მოყვანილს სხვისას.

ქვეყნის წინსვლაა ამ ლექსის ცნება,
ვაზზე გარჯა რომ ასწილ ბრუნდება.
მთავრობის ხედვა, ერობის ნება
ახლისკენ სწრაფვით დადასტურდება.

უკან გამწევთა ბეცი გონებაც
სამარადისოდ დასამარდება —
და საქართველოს აღორძინებაც
ამომავალი მზის ქვეყნის დარად
ახალი გზნებით განვითარდება.

თამაზ ქვლივიძე

◎ სამგო

ორ-ორი „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“

ბელარუსის დედაქალაქში დამთავრდა სამბისტთა მსოფლიოს თასის ეტაპი, რომელშიც ქართველმა ფალავნებმა ოთხი მედალი მოიპოვეს. მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს და მეორე ადგილებზე გავიდნენ მძიმეწონისნები - ბექა ბერძენიშვილი (+100 კგ) და ირინე ლეონიძე (+80 კგ), ხოლო ირაკლი კუპატაძე (57 კგ) და თეა სუხიტაშვილი (68 კგ) ბრინჯაოს მედლებით დაკმაყოფილდნენ. მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპს მოსკოვი მარტის მიწურულს უმასპინძლებს. ქართველი სამბისტები იმ ტურნირშიც იასპარეზებენ.

გივი გაგუა

◎ ტანვარჯიში

გოგონებმა უკეთ, ვიდრე ბიჭებმა

წლეულს ივნისსა და ივლისში ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრება გაიმართება: ბაქო პირველ ევროპულ თამაშებს უმასპინძლებს, კონტინენტის ახალგაზრდები კი თბილისში ოლიმპიურ ფესტივალში მოსინჯავენ ძალებს. ამ ტურნირებისთვის მონდომებით ემზადებიან ქართველი სპორტსმენები, მათ შორის – სპორტული ტანმოვარჯიშეები, რომლებმაც შვიდი ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად რიგაში ლატვიელი ოლიმპიური ჩემპიონის – იგორ ვიხროვის თასის გათამაშებაში იასპარეზეს. სპორტსმენები ორ ასაკობრივ ჯგუფში იბრძოდნენ საპრიზო ადგილებისთვის. ქართველთაგან (დელეგაციის ხელმძღვანელი – ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ბესარიონ გამსახურდია, მთავარი მწვრთნელი რუსუდან სიხარულიძე) უმცროს ასაკში შესანიშნავად გამოვიდა მაგდა რობაქიძე, რომელმაც ხუთი ოქროს მედალი მოიპოვა. ქართველმა სპორტსმენმა მრავალჭიდში, ხტომებში, ორძელზე, დვირსა და თავისუფალ ვარჯიშში დაიკავა პირველი ადგილები.

ამავე ასაკში ივანე ჯიმშელეიშვილი მრავალჭიდში მესამე, თავისუფალ ვარჯიშში კი პირველ ადგილზე გავიდა. მისი თანაგუნდელი ბიძინა სიჭინავა მრავალჭიდში მე-6 იყო. საგულისხმოა, რომ მაგდა რობაქიძე, ივანე ჯიმშელეიშვილი, ბიძინა სიჭინავა თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში იბრძოლებენ მედლებისთვის.

პირველ ევროპულ თამაშებში გამოსვლის უფლება უკვე აქვს ნატალია ძიძიგურს. რიგაში ვიხროვის თასზე მან უფროსებში იასპარეზა და მრავალჭიდში ვერცხლის მედალი მოიპოვა – მასპინძელ დიანა ჯეროსიჯევას 0.06 ქულით ჩამორჩა. სამაგიეროდ, ხტომებსა და დვირზე ვარჯიშში არავის დაუთმო პირველობა.

ვაჟებში პაატა ნოზაძე მრავალჭიდში მეოთხე ადგილზე გავიდა, ტაიჭზე ოქროს მედალი დაისაკუთრა, ხოლო თავისუფალ ვარჯიშში „ვერცხლს“ დაყაბულდა. ორძელზე ვარჯიშში პირველი იყო ნოდარ ლიონიძე, რომელსაც მრავალჭიდში მე-5 ადგილი ხვდა.

ლაშა დიდია

სურათზე: ნატალია ძიძიგური, იგორ ვიხროვი და მაგდა რობაქიძე.

◎ ძიუდო

ევროტატამი შეიძლება ბაქოში გაიშალოს

ევროპის ძიუდოს კავშირმა გლაზგოს ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება ჩამოართვა და ჯერჯერობით ვერ გადაუწყვეტია, რომელი ქვეყნის რომელი ქალაქით ჩაანაცვლოს იგი.

აზერბაიჯანული სპორტული გამოცემების ცნობით, ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატი ბაქოა, რასაც ევროპული ძიუდოს მმართველი ორგანიზაციის თავკაცის სერგეი სოლოვეიჩიკის კომენტარით ამყარებენ.

„მას შემდეგ, რაც გადაწყდა, რომ ევროპირველობის მიმღები ქვეყანა თავიდან უნდა დაგვესახელებინა, რამდენიმე მსურველი გამოჩნდა. მათ შორის არიან საფრანგეთი, ჰოლანდია, თურქეთი და ფინეთი. ასევე განვიხილავთ აზერბაიჯანის ვარიანტს. ბაქოში ხომ წლეულს ევროპის ოლიმპიური თამაშებიც უნდა ჩატარდეს“ – განაცხადა სოლოვეიჩიკმა.

შოტლანდიისთვის ევროპირველობის ჩამორთმევის მთავარი მიზეზი ევროპული და ბრიტანული ძიუდოს ხელმძღვანელებს შორის საკონტრაქტო პირობებთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობა გახდა. ევროპის ძიუდოს კავშირმა ბრიტანეთის ძიუდოს ფედერაცია რამდენჯერმე მკაცრად გააფრთხილა, შემდეგ კი საბოლოო სანქციაც გამოაქვეყნა.

კონტინენტის პირად-გუნდური ჩემპიონატი საერთაშორისო კალენდარში 9-13 აპრილსაა შეტანილი და ასეც დარჩება, ახალი მასპინძლის ვინაობა კი, დიდი ალბათობით, მომავალ კვირაში გაირკვევა.

კოგა კოგახიძე

◎ კალათბურთი

დაიწყო ევრობასკეტ-2015-ის ბილეთების გაყიდვა

გაყიდვაში გამოვიდა 2015 წლის საკალათბურთო ევროპის ჩემპიონატის C ჯგუფის ბილეთები, რომელშიც მასპინძელ ხორვატეთთან ერთად საქართველო, სლოვენია, საბერძნეთი, მაკედონია და ჰოლანდიაც ითამაშებენ.

შეგახსენებთ, რომ ევრობასკეტ-2015-ის ჯგუფური ეტაპის მატჩები 5 სექტემბრიდან დაიწყება, ქართველებს კი „არენა ზაგრებზე“ თამაში მოუწევთ, რომლის მშენებლობაც 2007-2008 წლებში 89 მილიონი ევრო დაჯდა და საკალათბურთო მატჩებისთვის 16 500 მაყურებელს იტევს.

პირველ ეტაპზე გაყიდვაში სანაკრებო აბონემენტებია, რომელთა საშუალებითაც საყვარელი გუნდის ხუთივე თამაშზე დასწრების საშუალება მოგეცემათ. ჩვენს შემთხვევაში, განრიგი ასეთია: საქართველო – ჰოლანდია (5 სექტემბერი), სლოვენია – საქართველო (6 სექტემბერი), საქართველო – საბერძნეთი (8 სექტემბერი), მაკედონია – საქართველო (9 სექტემბერი) და საქართველო – ხორვატეთი (10 სექტემბერი).

აბონემენტები 4 კატეგორიის გახლავთ. პირველი კატეგორიის კომპლექტი 1 250 ხორვატული კუნა (დაახლოებით 162 ევრო) ღირს, მეორე – 750 (97), მესამე – 500 (65) და მეოთხე – 375 (49). საქართველოს ნაკრებისთვის 400-მდე აბონემენტი იქნა გამოყოფილი, საიდანაც ასამდე უკვე შეძენილია, ამდენად, თუკი ხორვატეთში გამგზავრებას გეგმავთ, თადარიგი აქედანვე უნდა დაიჭიროთ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

სერხიო რამოსის და პილარ რუბიოს დიდი მოლოდინი

თუკი მთელი მადრიდის „რეალი“ ესპანეთის ჩემპიონატისა და ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ფიქრობს და საამისოდ იღვწის, მადრიდელთა ვეტერანი მცველი სერხიო რამოსი სულ სხვა საფიქრალშია. სერხიო უახლოეს მომავალში მეორე შვილის დაბადებას ელოდება და ფეხბურთზე მეტად სწორედ ეს ანაღვლებს.

სერხიო რამოსის ცოლი, ესპანეთში ერთობ პოპულარული ტელეწამყვანი პილარ რუბიო, თურმე, თავიდან დიდ უარზე იყო, რომ მეორე შვილი გაეჩინა და ამის გამო დიდი საფრთხის წინაშე დაეყენებინა თავისი ჟურნალისტური კარიერა, მაგრამ სერხიომ თავისი „გასაკეთებელი“ მაინც გაკეთა და სულ მალე რამოსების ოჯახში პატარა ატირდება.

სერხიო და პილარი ჯერჯერობით არ ამხელენ ბავშვის სქესს და იძახიან, რომ მათთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. პილარ რუბიომ ჟურნალისტებს ისიც გაუმხილა, რომ მეორე შვილის ოთახის მოწყობის გამო ქმართან მცირე შელაპარაკებაც კი მოუვიდა, თუმცა, ყველაფერი აყალამყალისა და დაშხოშიანი კახური გინების გარეშე დასრულდა.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ფეხბურთი

მცველთა ხმაური

ჩემპიონთა ლიგა პლეი-ოფებით განახლდა, რომლებსაც საფრანგეთის დედაქალაქმა და ლვოვმა უმასპინძლა.

„პარი სენ-ჟერმენისა“ და „ჩელსის“ პირველმა მერვედფინალურმა რაუნდმა მთელი საფეხბურთო, პოლიტიკური და შოუ-ბიზნესის ბომონდი მიიზიდა პლატინისა და სარკოზის ჩათვლით. რაც მთავარია, თვით მატჩმა, განსაკუთრებით მისმა მეორე ტაიმმა, გულშემატკივართა მოლოდინი გაამართლა.

გემახსოვრებათ, შარშან ეს გუნდები ერთმანეთს მეოთხედფინალში რომ შეხვდნენ და „არისტოკრატებს“ დიდი ჯაფა დაადგათ ღირსეული მეტოქის დასამარცხებლად (1:3, 2:0).

საფრანგეთის ჩემპიონატის ამასწინანდელ ბრძოლაში „კაენთან“ (2:2) ერთბაშად ლორან ბლანის 3 შეგირდი დაშავდა, რამაც მასპინძლებს დამატებითი პრობლემები შეუქმნა. მართალია, პასტორე შესვენების შემდეგ მაინც შეუერთდა პარტნიორებს, მაგრამ ლუკასის არყოფნაში მხოლოდ მისი ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა თუნდაც მინიმალური უპირატესობის მოსაპოვებლად – 1:1 (ივანოვიჩი, კავანი).

ვარსკვლავთკრებულმა, ბუნებრივია, არაერთი საგულისხმო ეპიზოდით გაამშვენიერა აღნიშნული სანახაობა, თუმცა, ტერი-კეჰილი-ივანოვიჩის სამსვლიანი კომბინაცია, რომელიც სერბმა ზუსტი თავურით დააგვირგვინა (ეს მისი მე-7 გოლია ჩემპიონთა ლიგაში). ალბათ, მიაქცევდით ყურადღებას – სამივენი მცველები არიან.

რაც შეეხება „შახტარ“ – „ბაიერნის“ დუელს, რომელიც გასაგები პოლიტიკური მიზეზების გამო ლვოვში გაიმართა, უგოლო ზავის გაფორმებით დასრულდა – 0:0, რაც ბავარიულ გრანდს ფავორიტის სტატუსს უნარჩუნებს. დავძენთ, რომ საპასუხო თამაშს ხაბი ალონსო გამოტოვებს, რომელიც უკრაინაში მინდვრიდან გააძევეს.

გუშინ

საქართველოს თასი. 1/4 ფინალი.

პირველი მატჩები: „დილა“ – „დინამო“ 0:0, „სამტრედია“ – „ტორპედო“ 2:1, „მეტალურგი“ – „ჩიხურა“ 0:0, „სპარტაკი“ – „ვიტ ჯორჯია“ 4:5.

გიორგი ზოთაძე

◎ აიწონა-დაიწონა

აურზაური ევროზონაში

ამ ცოტა ხნით წინათ საბერძნეთში მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა მოხდა — ქვეყნის ხელისუფლების სათავეში ულტრამემარცხენე კოალიცია მოვიდა, რომელსაც, წინასგან განსხვავებით, ბევრ საკითხთან დაკავშირებით გაცილებით აგრესიული პოზიცია უკავია.

გერმანული გაზეთის „დი ველტეს“ ცნობით, საბერძნეთის ახალმა მთავრობამ, კოალიციის ლიდერისა და პრემიერ-მინისტრის ალექსი ციპრასის პირით, გერმანიისგან, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 70 წლის შემდეგ, ქვეყნის ფაშისტური ოკუპაციისთვის რეპარაციის (**მიყენებული ზარალის მატერიალური ანაზღაურების — რედ.**) გადახდა მოითხოვა.

1941 წელს გერმანიის ვერმახტის ნაწილებმა საბერძნეთის ტერიტორია დაიკავეს, ხოლო ოკუპაცია 1944 წლამდე გაგრძელდა. ამასთან დაკავშირებით ათენში მიაჩნიათ, რომ, ფაშისტური გერმანიის მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, საბერძნეთისთვის მიყენებული ზარალი ქვეყანას ინტერესთა საზიანოდ აუნაზღაურდა. საბერძნეთის ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრმა ალექსის ციპრასმა საკითხის ხელახალი განხილვა მოითხოვა და განაცხადა, რომ გერმანიას საბერძნეთისა მილიარდობით ევრო მართებს. გერმანიის მთავრობა ამ მოთხოვნას უარყოფს და აცხადებს, რომ ომის ვალები ქვეყანამ დიდი ხნის წინათ გაისტუმრა. საქმე ისაა, რომ 1960 წლის შეთანხმებით, საბერძნეთის თითოეულ მოქალაქეს გერმანიამ ოკუპაციის გამო რეპარაციის 115 დოიჩმარკა გადაუხადა, რითაც ინდივიდუალური კომპენსაციის პროცესი დაასრულა.

ახლა კი საბერძნეთი გერმანიას ეგრეთ წოდებულ „იძულებით საპროცენტო ვალს“ ედავება: 1942 წელს მესამე რაიხმა საბერძნეთის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა აიძულა 476 მილიონი რეიხსმარკის უპროცენტო სესხი გამოეყო, რომელიც „საოკუპაციო ხარჯის დაფარვას“ მოახმარა. ბერძნული მხარის მტკიცებით, ეს თანხა ქვეყანას არ დაბრუნებია, **საექსპერტო კომისიის წევრთა გათვლებით კი დღესდღეობით გერმანიას საბერძნეთის 11 მილიარდი ევრო მართებს.** მიუხედავად ამ მოთხოვნისა, გერმანიის მთავრობა აცხადებს, რომ რეპარაციის ყველა ვალდებულება ქვეყანამ დიდი ხნის წინათ შეასრულა: 1945 წლის პარიზის კონფერენციაზე განსაზღვრული სარეპარაციო პირობის შესაბამისად, საბერძნეთმა, კომპენსაციის სახით, დღევანდელი კურსით ორი მილიარდი ევროს ღირებულების საქონელი მიიღო.

1953 წელს ვალების თაობაზე ლონდონში გაფორმებული შეთანხმებით, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულმა ქვეყნებმა რეპარაციის საკითხის მოწესრიგება გერმანიასა და გამარჯვებული ქვეყნებს შორის სამშვიდობო შეთანხმების გაფორმებამდე გადადეს, მოგვიანებით კი გერმანიის ვალების ნაწილი ჩამოიწერა, თანაც აღნიშნული სამშვიდობო შეთანხმება აღარ გაფორმებულა. სამაგიეროდ, **1990 წელს, გერმანიის გაერთიანების აღსანიშნავად, ძალაში შევიდა „2+2“ შეთანხმება, რომლითაც დამატებითი რეპარაციები გათვალისწინებული არ იყო და ის საბერძნეთმა აღიარა.**

უნდა ითქვას, რომ რეპარაციის თემა საბერძნეთში საკრედიტო კრიზისის დაწყების შემდეგ წამოიჭრა: 2010 წელს ქვეყანამ, ბანკროტობის თავიდან ასაცილებლად დახმარებისთვის ევროკავშირს მიმართა და სესხი მიიღო კიდეც. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოყოფილ კრედიტებში გერმანიის წილი 65 მილიარდი ევროა. საბერძნეთის 40 წლის პრემიერი გერმანიის ვალის რეპარაციით გაქვითვას ჯერ კიდევ სავარძლის დაკავებამდე, ოპოზიციაში ყოფნის დროს მოითხოვდა. ზოგნი ამაში მას ეთანხმებიან, ზოგნი კი ამ გზას არარეალურად მიიჩნევენ, ალექსის ციპრაკისი კი აცხადებს, რომ ბრიუსელის ზეწოლით გატარებული მკაცრი საბიუჯეტო ეკონომიის პოლიტიკა დასრულდა და, ამდენად, იგი „მზად არის საბერძნეთის საგარეო ვალის პრობლემის“ სამართლიანად გადასაწყვეტად ევროპელ პარტნორებთან მოლაპარაკება დაიწყოს“.

მიმომხილველთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ კოალიცია „სირიზას“ ლიდერი ალექსის ციპრაკისი ევროპაში დიდი არეულობის გამომწვევი პოლიტიკოსია. მხედველობაში აქვთ, კერძოდ, მისი განცხადება იმის თაობაზე, რომ საბერძნეთი აღარ აპირებს საერთაშორისო კრედიტორების დიქტატის დამორჩილებას. საგულისხმოა ასევე ის გარემოება, რომ მან რუსეთისთვის დაწესებული სანქციების სავარაუდო გამკაცრება გააპროტესტა, რისთვისაც ევროპელ პოლიტიკოსთა კრიტიკის ქარცეცხლში მოჰყვა.

ოთარ ტურაბელიძე

ხსოვნა

მირიან გვრიტიშვილი

ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექტივმა და ბოტანიკურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა — მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი მიკოლოგი, მცენარეთა დამცველი, ეკოლოგიის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი **მირიან გვრიტიშვილი**.

როგორც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი, 2000 წელს აირჩიეს საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

1973-1977 წლებში მუშაობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრორექტორად; 1977-1984 წლებში — საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორად; 1989-1995 წლებში — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის მცენარეთა დაცვის ლაბორატორიის გამგედ; 1995 წლიდან — გარდაცვალებამდე საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად.

ბატონ მირიანს აღზრდილი ჰყავს 10-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი, ავტორია 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის.

ბატონი მირიანი იყო უაღრესად ენერგიული ადამიანი. დიდია ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექტივის დანაკლისი. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება კოლეგების, ახლობლებისა და ნაცნობების გულში.

მეუღლე ნათელა ფოფხაძე, შვილები გიორგი, ნატა ტურაბელიძეები, რძლები რუსუდან ცაგარეიშვილი, ეთერ ორჯონიკიძე, სიძე ბადრი კაკაბაძე, შვილიშვილები ანა, სერგო ტურაბელიძეები, ნათია, დათო კაკაბაძეები, შვილთაშვილები ანა, ალექსანდრე, თამაზი, ბადრი მწუხარებით იუწყებიან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

სერგო ტურაბელიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში, 21 II, 14 სთ. (მისამართი: ახვლედიანის ქ. №5).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, აკადემიურ დოქტორს მამუკა ხუსკივაძეს მამის

ჟორა ხუსკივაძის

გარდაცვალების გამო.

◎ ოქროს კერპი

„ჰაერიდან მიღებული“ დოლარების ძალა

რუსეთული რუბლის ბოლოდროინდელმა ჩამოქცევამ, რომელიც ოპეკ-ის (ნავთობის მწარმოებელი უდიდესი ქვეყნის გაერთიანება) გადაწყვეტიოლებას მოჰყვა ნავთობმოპოვების დონის არშემცირების თაობაზე, დოლარის შემცვლელი ახალი მსოფლიო ვალუტის წარმშობის შესახებ ახალი თეორია წამოსწია წინა პლანზე.

აღმოჩნდა, რომ ნავთობზე მიბმული ფასიანი ქაღალდების მოცულობა 16-ჯერ აღემატება მის რეალურ ღირებულებას! მაშ, იქნებ სწორედ სანავთობო კონტრაქტებია თანამედროვეობის ახალი რეალური ვალუტა, დოლარი კი ნედლეულის თაობაზე გარიგებაში მხოლოდ შუამავლის როლს ასრულებს და თავისთავად არაფერს არ ნიშნავს?

თუმცა, ექსპერტები სხვა აზრისანი არიან. კონტრაქტები — ესაა მაღალშემოსავლიანი ქაღალდები, ისინი მხოლოდ ბირჟაზე მოთამაშეთათვისაა საინტერესო, მაგრამ ვალუტის როლის შესასრულებლად სრულიად გამოუსადეგარია მაღალი რისკების შემცველობის გამო.

თავდაპირველად, როცა ამერიკის ქალაქ ბრეტონ-ვუდსში დოლარმა საერთაშორისო სტატუსი მიიღო, იქ მსოფლიო ოქროს მარაგის 70 პროცენტი იყო თავმოყრილი. ამდენად, ვალუტის ოქროთი უზრუნველყოფა იმხანად მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეძლოთ. ასე გახდა დოლარი დასავლეთის ქვეყნების მთავარი ვალუტა, რადგან იოსებ სტალინმა ბრეტონ-ვუდსის შეთანხმების რატიფიცირებაზე უარი განაცხადა. თუმცა კი, მოგვიანებით, განსაკუთრებით კი ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ, დოლარის გავლენის არეალი საგრძნობლად გაფართოვდა.

მიუხედავად იმისა, რომ, როცა მთელ მსოფლიოში ანგარიშებს დოლარებით ასწორებენ, ამერიკის ხაზინაში დაცული ოქროს დიდი იმედი ნამდვილად არა აქვთ. ექსპერტები აცხადებენ, რომ მათ ოქროსი კი არა, ამერიკის ეკონომიკის იმედი აქვთ, **რომ იქაური ფაბრიკები და ქარხნები ისეთ საქონელს გამოუშვებენ, რომელიც აუცილებლად გაიყიდება, რომ ჰოლივუდში გადაღებულ ფილმებს მთელ მსოფლიოში ნახავენ, ფერმერების მოყვანილი სოფლის მეურნეობის პროდუქციით ხალხი მარტო ამერიკაში კი არა, სხვა ქვეყნებშიც გამოიკვებება. ამიტომაცაა, რომ დოლარი კიდევ დიდი ხნის წინათ ფეხზე მაგრად იდგება.**

ისე, კაცმა რომ თქვას, ვითარება მართლაც გასაოცარია: „ჰაერიდან“ მიღებული ფულით ამერიკამ ქარხნები, ფაბრიკები, ფერმერები შექმნა, რომლებიც ოქროთი გამოჭედილ სარდაფებსა და სეიფებს მრავალჯერ სჯობს!

ნინო ალექსანდრია

◎ ინფორმაცია

ახალი უნიფორმები გადაეცათ

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ქუთაისის მერიიდან აცნობეს, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორმა თეიმურაზ ხარაშვილმა, ქუთაისის მერმა შოთა მურღულიამ და იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, ქუთაისის სასწრაფო დახმარების რაიონულ ცენტრში, დასავლეთ საქართველოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალს ახალი უნიფორმები გადასცეს. ღონისძიებას ჯანდაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციის კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის უფროსი ავთანდილ თალაკვაძეც დაესწრო.

რეგიონული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმებისთვის 3000-მდე ახალი ფორმა შეიკერა. ზამთრის უნიფორმის კომპლექტაცია სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ბრენდის ფერისა და ლოგოთი გაფორმებული სვიტერის, ქურთუკისა და შარვლისგან შედგება.

◎ ალიან-ჩალიანი

„ახმეტელის“ მეტროსთან 160 ავტომობილზე გათვლილი პარკინგი მოეწყობა

თბილისში, „ახმეტელის“ მეტროსთან ორდონიანი, 160 ავტომობილზე გათვლილი პარკინგი მოეწყობა. ამის შესახებ თბილისის მთავრობის სხდომაზე დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა.

მისი თქმით, სამუშაოები ამ ტერიტორიაზე 2015 წლის სექტემბრამდე დამთავრდება.

ამასთან, როგორც ნარმანიამ აღნიშნა, არსებული სირთულეების გამო, კომპანიას, რომელიც აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს, ვადა 2015 წლის სექტემბრამდე გადაეწია.

„ყურადსაღებია, რომ პროექტის განხორციელება გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მეტროს მიმდებარე ტერიტორია საკმაოდ დატვირთულია, ასევე ქონებრივი საკითხები იყო მოსაგვარებელი. ეს საკითხები მოგვარდა. კომპანია ითხოვდა პროექტის დასრულების ვადის გადაწევას, ამ საკითხებიდან გამომდინარე. ჩვენი დღევანდელი გადაწყვეტილებით, კომპანიას სამუშაოების განხორციელების დასრულების ვადად განესაზღვრება 2015 წლის სექტემბერი.

18 წლის ახალგაზრდას ეძებენ

შინაგან საქმეთა სამინისტრო 18 წლის ილია ნიჟარაძეს ეძებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი თბილისში, ვარკეთილის მე-3 მ/რ-ის მცხოვრებია. იგი 2015 წლის 12 თებერვალს სახლიდან გავიდა და შინ აღარ დაბრუნებულა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს ინფორმაციას ილია ნიჟარაძის აღწერილობის შესახებ. დაკარგული საშუალო აღნაგობისაა, სიმაღლე — 170 სმ, ღია ფერის კანით, აქვს თაფლისფერი თვალები, საშუალო ზომის წარბები და სწორი ცხვირი. ტანთ ეცვა ლურჯი ფერის ჯინსის შარვალი, ნაცრისფერი, ყვითელზოლიანი სპორტული ფეხსაცმელი, კაპიუშონიანი მწვანე მაისური და შავი ფერის ქურთუკი.

ნარკოდანაშაული გაიხსნა

შსს-მ ნარკოდანაშაული გახსნა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, უწყების თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1977 წელს დაბადებული გიორგი ხ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

„სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალების 1 აბი და აბის 16 ნატეხი ამოიღეს, რომელიც ექსერტიზის დასკვნით 0,0552 გრ ბუპრენორფინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებით, გიორგი ხ. დაკავებისას მარიხუანისა და „სუბუტექსის“ ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა“, — ნათქვამია განცხადებაში.

◎ სტატისტიკა

2014 წლის ყველაზე ღარიბი ქვეყნები

bpn.ge **უცხოურ გამოცემებზე დაყრდნობით, გთავაზობთ 2014 წლის 10 ყველაზე ღარიბი ქვეყნის რეიტინგს.**

მოცემული რეიტინგი შედგენილია მშპ-ის ანალიზის შედეგად – ქვეყნის საერთო შემოსავალი გაყოფილი მოსახლეობაზე. ანუ ეს არის ჯამური თანხა, რომელიც ადამიანმა წლის განმავლობაში ფულად ეკვივალენტში გამოიმუშავა. თუ მშპ დაბალია, ესე იგი მოსახლეობას სამუშაო არ აქვს და შესაბამისად ცუდად ცხოვრობს.

10. ტოგო (ტოგოს რესპუბლიკა)
– მოსახლეობა: 7.154 მილიონი ადამიანი
– დედაქალაქი: ლომე
– სახელმწიფო ენა: ფრანგული
– მშპ ერთ სულ მოსახლეზე: 1048 დოლარი

ერთ დროს ტოგო ფრანგული კოლონია იყო, დღეს კი დამოუკიდებელი ქვეყანაა, რომელიც ძირითადად ყავის, კაკაოს, ბამბისა და ლობიოს ექსპორტით, ასევე სასოფლო მეურნეობით ირჩენს თავს. გარდა ამისა, ტოგოში ტექსტილისა და ფოსფატის წარმოებაა განვითარებული.

9. მადაგასკარი
– მოსახლეობა: 22.599 მილიონი ადამიანი
– დედაქალაქი: ანტანანარივუ
– სახელმწიფო ენა: ფრანგული და მალაგიური
– მშპ ერთ სულ მოსახლეზე: 970 დოლარი
მადაგასკარი მსოფლიოში სიდიდით მე-4 კუნძულია. შემოსავლის ძირითადი წყაროები: თევზჭერა, სასოფლო მეურნეობა და ეკოტურიზმი.

8. მალავი
– მოსახლეობა: 16.777 მილიონი ადამიანი
– დედაქალაქი: ლილონგვე
– სახელმწიფო ენა: ინგლისური და ნიანჯა
– მშპ ერთ სულ მოსახლეზე: 879 დოლარი
მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას ნახშირისა და ურანის საკმაო მარაგი აქვს, მოსახლეობის 90 პროცენტი სასოფლო მეურნეობაშია დასაქმებული.

7. ნიგერი
– მოსახლეობა: 17.470 მილიონი ადამიანი
– დედაქალაქი: ნიამეი
– სახელმწიფო ენა: ფრანგული
– მშპ ერთ სულ მოსახლეზე: 829 დოლარი
ამ ქვეყნის მეზობლად უდაბნო საჰარა მდებარეობს. ნიგერს ცუდი კლიმატური პირობები აქვს, რის გამოც ქვეყანაში მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილის პირასაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ნიგერი მდიდარია ურანის მარაგებითა და ნავთობისა და გაზის მოსაპოვებელი ადგილებით.
რაც უნდა გასაკვირი იყოს, მოსახლეობის 90 პროცენტი სასოფლო მეურნეობაშია ჩართული, მაშინ, როცა ნიგერის მიწების მხოლოდ 3 პროცენტია ვარგისი გამოყენებისთვის. ამიტომ, სახელმწიფოს ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული გარე დახმარებაზე.

6. ზიმბაბვე
– მოსახლეობა: 13.172 მილიონი ადამიანი
– დედაქალაქი: ხარარე
– სახელმწიფო ენა: ინგლისური
– მშპ ერთ სულ მოსახლეზე: 788 დოლარი
მას შემდეგ, რაც ზიმბაბვე დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა (1980 წლამდე ინგლისის კოლონია იყო) მას ეკონომიკური პრობლემები დაეწყო. ხოლო 2000 წლიდან 2008 წლამდე გატარებულმა მიწის დამუშავების რეფორმამ სიტუაცია ქვეყანაში კიდევ უფრო გააუარესა. ამიტომ, დღეისათვის ზიმბაბვე, ინფლაციის დონის მიხედვით, მსოფლიოს რეკორდსმენია და ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი ქვეყანაა. 2009 წელს უმუშევართა სტატუსი მოსახლეობის 94 პროცენტს ჰქონდა.

5.ერიტრეა
– მოსახლეობა: 6.086 ადამიანი.
– დედაქალაქი: ასმერა
– სახელმწიფო ენა: არაბული და ინგლისური
– მშპ ერთ სულ მოსახლეზე: 707 დოლარი
ერიტრეა აგრარული ქვეყანაა, რომლის ტერიტორიის მხოლოდ 5 პროცენტია ვარგისი სასოფლო მეურნეობისთვის. ამ 5 პროცენტს კი მოსახლეობის 80 პროცენტი ამუშავებს.

4. ლიბერია
– მოსახლეობა: 3.489 მილიონი ადამიანი
– დედაქალაქი: მონროვია
– სახელმწიფო ენა: ინგლისური
– მშპ ერთ სულ მოსახლეზე: 703 დოლარი
ლიბერია აშშ-ის ყოფილი კოლონიაა. მისი დამაარსებლები შავკანიანები არიან, რომლებმაც მონობიდან თავისუფლებას მიაღწიეს. ლიბერიის ტერიტორიების უმრავლესობა ტყით არის დაფარული, რაც ტურიზმის ხარჯზე ეკონომიკის განვითარების კარგ შანსს იძლევა. თუმცა, ქვეყნის ეკონომიკა სამოქალაქო ომის (90-იან წლებში) დროს დიდად დაზარალდა, ამიტომ ლიბერიის 80 პროცენტი ახლა სიღარიბეში ცხოვრობს.

3.კონგო (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა)
– მოსახლეობა: 77.433 მილიონი ადამიანი
– დედაქალაქი: კინშასა
– სახელმწიფო ენა: ფრანგული
– მშპ ერთ სულ მოსახლეზე: 648 დოლარი
მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ყავა, სიმინდი, ბანანები და ციტრუსები მოჰყავთ, კონგო მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ ქვეყნად მიიჩნევა (2014 წლის მონაცემებით). სახელმწიფოს ვერც სპილენძი, ნავთობი და კობალტი შველის. აღსანიშნავია, რომ კონგოს სპილენძის, ნავთობისა და კობალტის მსოფლიოში ყველაზე დიდი მარაგები აქვს.
სიღარიბის ძირითადი მიზეზი ქვეყანაში არსებული მუდმივი სამოქალაქო ომებია.

2. ბურუნდი
– მოსახლეობა: 9.292 მილიონი ადამიანი
– დედაქალაქი: ბუჟუმბურა
– სახელმწიფო ენა: რუნდი და ფრანგული
– მშპ ერთ სულ მოსახლეზე 642 დოლარი
ამ ქვეყნის შესახებ ალბათ არც გაგიგიათ, მაგრამ მას ფოსფორისა და იშვიათი ლითონის მარაგები გააჩნია. ქვეყანაში წარმოებაა განვითარებული, მაგრამ ის მთლიანად ევროპელებს ეკუთვნით. ამიტომ მოსახლეობის 90 პროცენტი, ძირითადად, სასოფლო მეურნეობითაა დაკავებული.

1.ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა
– მოსახლეობა: 5.057 მილიონი ადამიანი
– დედაქალაქი: ბანგი
– სახელმწიფო ენა: ფრანგული და სანგო
– მშპ ერთ სულ მოსახლეზე: 542 დოლარი
რესპუბლიკის საშუალო სტატისტიკური მცხოვრების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა:
– მამაკაცები: 48 წელი
– ქალები: 51 წელი
ამის მთავარი მიზეზი კი ქვეყანაში დაძაბული სამხედრო მდგომარეობაა.
რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების მთავარი წყარო სასოფლო მეურნეობაა. (მშპ 50 პროცენტზე მეტი). ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების სიჭარბეა (ხე, ალმასები, ბამბა, ყავა და თამბაქო), რომლის ექსპორტიც ხდება.

სანდრო გერლიანი

◎ მცირე ენციკლოპედია

ყავა გვიცავს გონებასუსტობისგან

ოთხწლიანმა **გამოკვლევამ აჩვენა, რომ დღეში 3-5 ფინჯანი ყავის მიღება 20 პროცენტით ამცირებს ალცეჰეიმერის დაავადების რისკს (ეს გონებასუსტობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა). კოფეინი ამცირებს თავის ტვინის უჯრედების ანთებასა და ცვეთას. გონებასუსტობის გამოვლენის რისკს ამცირებს თევზი, ბოსტნეული, ხილი, წითელი ღვინო.**

იმუნიტეტს ქიმია აფუჭებს?

ამბობენ, რომ ადამიანის იმუნიტეტი გაცილებით მეტადაა დამოკიდებული გარემობუნებაზე, ვიდრე გენებზე.

მეცნიერებმა სტენფორდის უნივერსიტეტიდან (ამერიკის შეერთებული შტატები) აღმოაჩინეს, რომ მომწიფებულ ასაკში, ბავშვობისაგან განსხვავებით, ჩვენი იმუნიტეტი ყველაზე მეტად ეკოლოგიაზეა დამოკიდებული.

„გენების გავლენა იმუნიტეტზე, – მიაჩნია ბავშვთა ინფექციის სპეციალისტს შუშანა ხარატიშვილს, – მნიშვნელოვანია. მაგრამ მომწიფებულ ასაკში, მართლაც, დიდ გავლენას ახდენს სხვა ფაქტორებიც: გადატანილი ინფექციები, ისეთი მედიკამენტების გამოყენება, რომლებიც იმუნიტეტს თრგუნავენ და მუშაობა ქიმიურ ნივთიერებებთან, რომლებსაც იმუნოტოქსიკური მოქმედებები აქვთ (მაგალითად, ვერცხლისწყალი)“.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

თბილისის ქუჩებში საცობები სამჯერაა: დილით, საღამოს და მუდმივად.

* * *

მე კულტურის მინისტრი კი არ მაშინებს, არამედ მინისტრის კულტურა.

* * *

– უკვე მთელი წელიწადია ვსვამ თქვენს წამალს, „ჯანმრთელი სახსრებისთვის“, მუხლები კი მაინც მტკივა!
– როგორ, თქვენ მტკივანი ფეხები გაქვთ?
– ჰო...
– მაგრამ წამალზე ხომ გარკვევით აწერია „ჯანმრთელი სახსრებისთვისო“?

* * *

თვალებმა დაინახეს მეხუთე ზომის ძუძუები, თავი დარეტიანდა, გული აბაგუნდა, შარვალი დავიწროვდა...
და მხოლოდ შეშინებული ქისა აცახცახდა და მიიყუჟა...

* * *

ბინაში ტელეფონი ირეკება. ყურმილს არავინ არ იღებს. 10 წუთის შემდეგ ისევ გაისმის ზარის ხმა. ისევ არავინ არ პასუხობს. კიდევ 10 წუთის შემდეგ კვლავ დაირეკა. ყურმილი აიღეს:
– განა რამდენჯერ შეიძლება დარეკვა! ხომ ხედავთ, რომ სახლში არავინ არ არის?
– აბა თქვენ ვინა ხართ?
– ქურდი.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერეულაკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24